პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (19748) პარასკევი, 9 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საბჭოების დიდი უფლება, მოვალეობა

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოების — საბჭოების შემოქმედებითი მუშაობით, აქტიურობითა და ინიციატივით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ცხოვრების ყველა უბანზე ვხედვით ხალხის სასიკეთოდ გადაწყვეტილ პრობლემებს, მოგვარებულ საზოგადოებრივ საქმეებს. ცხადია, ჩვენი ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სოფლად თუ ქალაქად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორები და პრაქტიკული საქმეების უშუალო შემსრულებლები არიან. და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც მათ პარტიის XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ.

საბჭოების შემოქმედებითი მუშაობის სრულყოფისა და მოქმედების ნათელი პროგრამაა სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ცხადია, ეს ისტორიული დოკუმენტი ეხება ყველა საფუძვლის საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობის უკლებლივ ყველა ასპექტს, იგი აფართოებს საბჭოების უფლება-მოვალეობას, მიზნად ისახავს მათი დამოუკიდებლობის გაძლიერებას, აქტიურობას და თვითშემოქმედებითს განვითარებას.

ერთი სიტყვით, მეტად გაიზარდა საბჭოების უფლება და პასუხისმგებლობა თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის, ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის საბჭოების განვლილი შუამავლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად გარდაქმნები იგრძნობა ცხოვრების ყველა დარგსა და სფეროში. უფროდ იფერება ჩვენი ადამიანების დამოკიდებულება საქმეებისადმი, უფრო შეურიგებელი ხდება ბრძოლა ყოველგვარი უსამართლობის, ბიუროკრატიზმის, ბოროტებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ, უდავო ფაქტია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოების ყოველდღიური საქმიანობა — იგი უფრო კონკრეტული, საგნობრივი, დახვეწილი და მრავალმხრივი გახდა, გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა. ამ მხრივ უთუოდ სანიტერესო მუშაობა მიმდინარეობს ფოთის, რუსთავის, ბორის საქალაქო, ცხინვალის, ზესტაფონის, მცხეთის, წითელწყაროს, ოჩამჩირის და სხვა რაიონულ, სასოფლო საბჭოებში.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში 50 ათასზე მეტი დეპუტატია, რომლებიც ნამდვილად უდიდეს პოტენციურ შემოქმედებითს ძალას წარმოადგენენ პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმის საქმეში. უთუოდ აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა ვარკეული დადებითი გამოცდილება შეიძინეს დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. ახლა ჩვენს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ ადგილას 4 ათასზე მეტი დეპუტატთა ჯგუფი და საგუშაგოა, რომელთა შემადგენლობაში ოცი ათასზე მეტი დეპუტატი მოღვაწეობს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლთა ეს არმია დიდად უწყობს ხელს საბჭოების კავშირის განმტკიცებას მოსახლეობასთან, შრომითს კოლექტივებთან, ეხმარება აღმასკომებს გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციაში, კეთილმოწყობის სამუშაოთის, მომსახურების სფეროს გამართულობაში და სხვა მრავალფეროვან სამუშაოთა შესრულებაში. ამ მხრივ საყურადღებო მუშაობას ეწევიან თბილისის საავიაციო ქარხანა, ცხინვალმანქანაბანა, ჭალელის რაიონის სოფელ დვანის და სხვა ქალაქებისა და რაიონების დეპუტატთა ჯგუფები.

უთუოდ საგულისხმოა ის, რომ ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეისწავლა, განიხილა და მიიღო დადგენილება „სკკ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ". ეს დადგენილება ჩვენი საბჭოების საქმიანობის არა მარტო დიდი შეფასებაა, არამედ უდიდეს მოვალეობასაც აკისრებს მათ. ცხადია, ამ ნდობას დიდი შემოქმედებითი მუშაობით უნდა ვუპასუხოთ. ახლა ჩვენმა საბჭოებმა თავი მოწესრიგონ, ენერგიული მუშაობით უნდა უზრუნველყონ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულება, იზრუნონ იმისათვის, რომ ხელი შეიწყოს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას. მომსახურების სფეროს, კაპიტალური მშენებლობის განვითარებას, ბუნების დაცვის შემდგომ სრულყოფას, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სხვა აქტუალური, ცხოვრებისეული საკითხების მოგვარებასა და გადაწყვეტას.

რა თქმა უნდა, ახლა საბჭოების უფლებები დიდი და მრავალფეროვანია, მაგრამ ეს უფლება მოვალეობის გარეშე ხომ არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ხუთწლედის მეორე წლის ამოცანები ეფუძნება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას. მთავარი კი ის არის, რომ ყველა რანგის საბჭოები უფრო სწრაფად გარდაიქმნენ, უფრო გულდაგული იმუშაონ, ობიექტურად და ოპერატიულად გადაჭრან პრობლემები, რომლებსაც ცხოვრება წამოჭრის.

პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმაში, ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში დიდი შემოქმედებითი და აღმშენებლობითი პოტენციალი, რომლებსაც საბჭოთა სახალხო ხელისუფლების სისტემა შეიცავს. ამიტომ ახლა პარტიული, საბჭოთა ორგანოების, დეპუტატების მოკრძალება უფრო სრულად და ნაყოფიერად გამოვიყენოთ იგი. ყოველმხრივ უნდა გაიზარდოს საბჭოების როლი, აღმოიფხვრას პარადულობა სესიების მოწყობის დროს, უნდა დავვმოთ გაჭიანურებული, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების წარმოთქმის პრაქტიკა, მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოების სესიებზე საგულდაგულოდ განხილულებოდეს საკითხები, იმართებოდეს ჯანსაღი კამათი, სხვადასხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით მიიღებოდეს დადგენილებები, პრაქტიკაში დამკვიდრდეს ის, რომ სესიების მუშაობაში მონაწილეობდნენ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ საბჭოები, როგორც წესი, პროექტების ფართო და წინასწარი განხილვის შემდეგ.

დიდი და პასუხსაგები სამუშაოები მოელით ჩვენს ადგილობრივ საბჭოებს, დაჩქარება და გარდაქმნა სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ ყოველი ჩვენგანი სამუშაო ადგილზე შრომობდეს შემოქმედებითად, მონდომებით, კეთილსინდისიერად და, რაც მთავარია, შედეგიანად. ცხადია, უნდა გვახსოვდეს, რომ დაჩქარება, რადიკალური გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში არის კურსი, რომელსაც პარტია მტკიცედ და განუხრელად განახორციელებს. იგი ჩვენი ცხოვრების კანონია. ახლა უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების როლის გაძლიერებას ყველა უბანსა და რგოლში. კვლავაც მთელი ძალებითა და შესაძლებლობებით უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ გავაღრმაოთ დემოკრატიული საწყისები მართვაში, ვიმოქმედოთ და ვიზრუნოთ დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის, უშრომელი შემოსავლის, ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

საბჭოების ძალების წყარო, მათი მუშაობის ეფექტიანობის გარანტია პარტიული ხელმძღვანელობაა. პარტიულმა კომიტეტებმა უდავ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ საბჭოების მუშაობას მეტი მიზანსწრაფულობა, შემოქმედებითობა და გერგილიანობა ახასიათებდეს. უალრესად ფაროთა სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები. ახლა მათი მთავარი ამოცანაა გამოიჩინონ მაქსიმალური გულმოდგინეობა, ინიციატივა მთელი საქმიანობის გარდაქმნაში.

ხუთწლედი: წელი მეორე

აქედანვე — წარმოების მაღალი ტემპი

საიჯარო ბრიგადების წარმატება

ტყიბული. (საკ. კორ.) იანვრის პირველ რიცხვებში აქ შეჯამეს მეშახტეთა გასული წლის შედეგები. გამოირკვა, რომ შარშან ყველაზე კარგად იმუშავეს ორჯონიკიძის სახელობისა და მინდელის სახელობის შახტების მოწინავე კოლექტივებმა. მათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს 28 ათას ტონამდე ქვანახშირი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაიზოგა ათიათასობით მანეთი.

ახალ წელს ყველაზე უკეთესი შრომითი საჩუქრებით შეხვდა მინდელის სახელობის შახტის ნოვატორი მაღაროელის ო. სილაგაძის საიჯარო ბრიგადა. ამ ბრიგადამ, რომელსაც რთულ გეოლოგიურ პირობებში უხდებოდა მუშაობა, წარმატებით დაძლია სიძნელეები და გასული წლის ქვანახშირის ამოღების გეგმა ვადაზე 12 დღით ადრე შეასრულა. ხუთწლედისათვის ბრძოლაში აქვე თავი ისახელეს იმ საიჯარო ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი მეშახტეები ნ. გეწაძე და გ. გაბრელიანი.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში თავი გამოიჩინეს სამეურნეო ანგარიშით მომუშავე იმ საეს-პლოატაციო უბნებმა, რომელთაც ენთუზიასტი სამთოელები მ. აბესაძე, მ. წულუკიძე, უ. კუბლაშვილი და ა. ერგემლიძე უდგანან სათავეში.

მოწინავე შახტებმა ახალი წელი უფრო სწრაფი ტემპით დაიწყეს და ყოველდღიურად დიდად ენერგეტიკულ ქვანახშირს იძლევიან. ისინი პირობას დებენ, რომ წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, კარგად გაირკვევიან და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულებენ ქვანახშირის ამოღების ხუთწლედის ორი წლის დავალებებს.

კარგად დაიწყეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საზოგადოებრივი მეურნეობები ახალი წლის დამდეგდანვე მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ყოველდღიურად 4-5 ცენტნერით მეტრძოს აბარებენ სახელმწიფოს. მარტო 5 დღეში 2,5 ტონით მეტი რძეა ჩაბარებული, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი როდინოულის მეცხოველეობის სამეურნეოებმა, ბოლნისის, ბ. ფულუკიძე, უ. კუბლაშვილი და ა. ერგემლიძე უდგანან სათავეში.

ბოლნისის, ბ. ფულუკიძე, უ. კუბლაშვილი და ა. ერგემლიძე უდგანან სათავეში.

ბოლნისის, ბ. ფულუკიძე, უ. კუბლაშვილი და ა. ერგემლიძე უდგანან სათავეში.



თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის კოლექტივმა კარგად დაიწყო 1987 წელი. თითოეულ სამუშაო უბანზე განმტკიცდა შრომის და საწარმოო დისციპლინა, განახლდა ტექნიკა, ახლა ყველა მუშაკი მონდომებით იღვწის იმისათვის, რომ უწუნოდ იმუშაოს და თავისი წვლილი შეიტანოს წარმოების წინსვლაში. აქაურ მშრომელებს ურიგო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით არ დაუმთავრებიათ შარშანდელი წელი. მომხმარებელს ნაცვლად 10 540 ათასი მანეთისა მიაწოდეს 10978 ათასი მანეთის პროდუქცია, შესრულდა მიწოდების გეგმა, ასევე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ვალდებულებაც. შრომაში მრავალი უბანი დაწინაურდა. იმათ შორის, ვინც კეთილსინდისიერად საქმიანობს, ახასიათებენ თამაზ ლოლაშვილს, იგი გაჩქარა „ელექტაბ" საამწყობო საამქროში მუშაობს და ყოველთვიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამაზეებში" მთელი კოლექტივი მობილიზებულია პროდუქციის ხარისხიანი მიღებისათვის. მუშაობის ახალ პირობებში თითოეული მათგანი ცდილობს გამოავლინოს შესაძლებლობის მაქსიმუმი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. გაზარდოს მომხმარებლობა და პასუხისმგებლობა ყველა საამქროში თუ უბანზე. კარგ შრომითს მაგალითს იძლევიან მაგნიტური გამაზეების საამწყობო საამქროს მშრომელები. საქმეში დაწინაურდა ამწყობი ზეინკალი მაია ედიშერაშვილი. იგი სკოლის მერხიდან მოვიდა საამქროში და სრულყოფილად დაეუფლა თავის პროფესიას. ამუამად იგი ხვეებს ასწავლის, თვითონ კი ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათებზე: თ. ლოლაშვილი და მ. ედიშერაშვილი.

ჯ. ლომსაძის ფოტო.

ვიზიტი ფინეთში

ჰელსინკი, 7 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, რომელიც აქ იმყოფება ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. კოივისტოსა და ფინეთის მთავრობის მოწვევით, დღეს ქალაქის ნუშათა რაიონში ეწვია სახლს, სადაც 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. ახლა ბინაში, სადაც იგი ცხოვრობდა, გახსნილია მუზეუმი. საბჭოთა საბჭოთა სტუმარი გაეცნო ექსპოზიციას. მან ყვავილებით შეამკო შენობაზე გაკრული მემორიალური დაფა, ჩანაწერი დატოვა მუზეუმის საპატიო სტუმრების წიგნში.

ნ. ი. რიჟკოვი იყო პიეტამიემის რაიონში, სადაც გვირავნებით შეამკო ფინეთის ყოფილი პრეზიდენტების — ი. კ. პაასიკივისა და უ. კ. კეკონენის საფლავები. მან პატივი მიაგო თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფინეთისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება-განმტკიცებაში.

იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს წევრებსა სახლში გაიმართა ნ. ი. რიჟკოვისა და ფინეთის პრემიერ-მინისტრის კ. სორსას მოლაპარაკება.

კეთილმეზობლობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით განხილეს სსრ კავშირისა და ფინეთის ორმხრივი ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. მთავრობათა მეთაურებმა დაადასტურეს, რომ ამ თანამშრომლობის საფუძველი იყო და არის სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები, დისკრიმინაციისა და ყოველგვარ ხელოვნურ შეზღუდვაზე უარის თქმა.

ჩამოაყალიბა რა არსი სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნისა, რომელიც ეხება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობას, ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ ეს გარდაქმნები ახალ შესაძლებლობებს უქმნიან საბჭოთა კავშირ-ფინეთის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას, მნიშვნელოვნად აფართოებენ თანამშრომლობის პროგრესული ფორმების ძიების სფეროს. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა განიხილეს საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის საკითხები, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოების შექმნის, როგორც პერსპექტიული მიმართულების, პროექტები, რომლის გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაშიც.

აღნიშნეს რა ორმხრივი საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაღალი დონე და მასშტაბურობა, ნ. ი. რიჟკოვმა და კ. სორსამ ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფა დროის მოთხოვნათა შესაბამისად.

მხარეებმა აღნიშნეს როლი, რომელსაც საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი სამთავრობათშორისო კომისია ასრულებს სსრ კავშირისა და ფინეთის მრავალმხრივი სამეურნეო კავშირურთიერთობის კოორდინაციის საქმეში, ამ ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ საჭი-

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ 1987 წლის ახალმშენებლობათა რუკას განმარტავს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ნ. შანიძე

ᲐᲮᲐᲚᲘ წელიც დაგვიდგა. დიდი გეგმები გვაქვს დასახული ხუთწლედის მეორე წლისათვის. მომავალი სამუშაოს მასშტაბს თვალნათლივ ცხადყოფს საქართველოს 1987 წლის უმნიშვნელოვანეს ახალშენებლობათა რუკაც. პირობითი ნიშნების მეშვეობით მასზე. აშკარად მოჩანს, რომ უპირატესობა ენიჭება ინდუსტრიის იმ დარგებს, რომლებიც განსაზღვრავენ მთელი სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს არის ენერგეტიკა, მანქანათაშენებელი, მსუბუქი, მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები.

სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციის პირობებში, რომელიც მთელ კავშირში ხორციელდება, ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო მექანიზმიც გარდაიქმნება. რადიკალურად გაუმჯობესდება სამშენებლო პროცესის ორგანიზაცია, ძალები და სახსრები ძირითადად მოხმარდება ასამოქმედებელ ობიექტებს, გაფართოვდება ტრასტების უფლებები. კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებისას გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებები, გაძლიერდა გეგმის სოციალური მიზანდასახულობა.

სულ რეკონსტრუქციას, ტექნიკურ განახლებას, მორალურად მოძველებული მოწყობილობის შეცვლას 1987 წელს მოხმარდება 573,2 მილიონი მანეთი, ანუ 19 პროცენტით მეტი, ვიდრე 1986 წელს. ამ ხარჯების ხვედრითი წილი საწარმოო დანიშნულების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში შეადგენს 36,1 პროცენტს შარშანდელი 31,6 პროცენტის ნაცვლად.

ენერგეტიკა იყო და არის სახალხო მეურნეობის მამოძრავებელი ძალა. საქართველოში მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე იმსჯელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელმაც განიხილა 2000 წლამდე რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების კომპლექსური პროგრამა. მისი განხორციელება უკვე დაიწყო. გაგრძელდება ენგურისა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურების ცალკეული ობიექტების მშენებლობა, დამთავრდება ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის ახალ სამლავრეოთა (23 ათასი კილოვატი) საექსპლოატაციოდ გადაცემა, 80,7 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქცია.

კვლავინდებურად განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია. ჭიათურაში დაიწყება მადნის მოპოვება სიღრმისეული შრეებიდან, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საგლინი დგანების რეკონსტრუქციის შემდეგ 152 ათასი ტონით გაიზრდება სამლე ნამზადების წარმოება, გადიდდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამძლავრეებიც.

უპირატესი ტემპით განვითარდება ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობა. საგრძნობლად გაიზრდება თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო და საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნების სიმძლავრეები. ამ საწარმოებში დასახულია ახალი საამწე ძრავების წარმოების, რედუქტორების კორპუსების ჩამოსასხმელი, მაღალი მარკების რუხი თუჯის სხმულების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ერთობ საჭირო სხვა პროდუქციის ათვისება.

პასუხსაგები ამოცანები დგას მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლების წინაშე. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად გაიზრდება თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო და ფართლეულის ფაბრიკის, ფოთის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის სიმძლავრეები, სახაგრომრეწვის სისტემაში დამთავრდება აგარის, ახალციხის, ზუგდიდის, მახარაძის საკონსერვო ქარხნების, გორის ხილის წყლების ქარხნის, ცხინვალის ელევატორის, ახალქალაქის პირეტყვგადამშუშავებელი ქარხნის, თბილისის, ახმეტისა და ზუგდიდის ხორცკომბინატების მაცივრების აგება.

მომდინარე წელს და მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის ბაზის განვითარების კაპიტალური დაბანდებების მკვეთრი ზრდა. დაჩქარდება მარიბდა-ახალქალაქის საექსპლოატაციოდ გადაცემული რკინიგზის გაზვრივ მდებარე ნედლეულის ბაზების ათვისების ტემპი. მწყობრში ჩაგდება და განახლდება დარგის რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი ობიექტები.

მაგალითად, კასპის ცემენტშიფერის კომბინატი რეკონსტრუქციისა და ცალკეული საამქროების გაფართოების დასრულების შემდეგ 230 ათასი ტონით მეტ ცემენტს მოგვცემს; 30 ათასი კუბური მეტრით მეტ პროდუქციას მიაწვდის რესპუბლიკის ახალმშენებლობებს გორის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა.

ქვეყნის შრომითს რიტმს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სატრანსპორტო არტერიები. გაგრძელდება ტრანსკავკასიონის რკინიგზის მშენებლობა, ამომქმედდება რკინიგზის მეორე ლიანდაგი დასავლეთ საქართველოში, მწყობრში ჩადგება რკინიგზის ვაგზლები თბილისსა და ბათუმში, გაგრძელდება მუშაობა თბილისის, სოხუმისა და გაგრის ასაქცევი ავტოგზების გასაყვანად.

როგორც ყოველთვის, ყურადღების ცენტრშია სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხები. საბინაო პროგრამის რეალიზაციის შედეგად საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს გაიუმჯობესებს დაახლოებით 100 ათასი კაცი. 271 კილომეტრით გაიზრდება წყალსატარებისა და წყალსადენების ქსელების სიგრძე, მათ შორის 108 კილომეტრით — სოფლად. განხორციელდება შავი და კასპის ზღვების აუზთა გაუუჯყიანების თავიდან აცილებისათვის გამიზნულ სამუშაოთა კომპლექსი. მნიშვნელოვნად გადიდდება საკლუბო დაწესებულებების, მასობრივი ბიბლიოთეკების, კინოდანადგარების რიცხვი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობას მოხმარდება 76 მილიონამდე მანეთის კაპიტალური დაბანდებები, რაც 16 პროცენტით სჭარბობს შარშანდელ დონეს. სამედიცინო დაწესებულებების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების განვითარებას მოხმარდება დაახლოებით 55 მილიონი მანეთი.

დარგის შრომითს კოლექტივებს დიდი რეზერვები აქვთ იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულონ გეგმა, დაამყარონ წესრიგი სამშენებლო წარმოებაში. ხუთწლედის მეორე წლის სამშენებლო პროგრამის წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროა ავამოქმედოთ ეს რეზერვები, გაბედულად გამოვიყენოთ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, კომპლექსურად სრულყოთ მეურნეობრიობის მექანიზმი.

(საინფორმ).



ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲔᲥᲕᲡ წელიწადზე მეტია გრძელდება ტრაგიკულად უმწყალო ომი ერაყსა და ირანს შორის, ომი, რომელსაც უამრავი მსხვერპლი და ბარეტა, მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა განადგურება მოსდევს. ორივე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მკვეთრად შეფერხდა. ერაყელი და ირანელი ხალხების შემოქმედებითი პოტენციალი და აღმშენებლობითი ძალები ხმარდება ერთმანეთის ელიტის მიზნებს.

ომის დროს მიმართავენ ანტიჰუმანურ მოქმედებას, ისეთს, როგორიც არის ქიმიური იარაღის გამოყენება, სამოქალაქო ობიექტებისა და სამხედრო სამიზნეების არმქონე დასახლებული პუნქტების დაბომბვა. საფრთხე შეექმნა საერთაშორისო წყალსანაოსნო გზებს სპარსეთის ყურეში, სადაც თავს ესხმიან სავაჭრო გემებსა და ტანკერებს, მათ შორის იმ სახელმწიფოთა ხომალდებს, რომლებიც კონფლიქტში არ მონაწილეობენ.

მთელი იმ მეცადინეობის მიუხედავად, რომელსაც წლების მანძილზე მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული ქვეყნები, დღემდე ვერ მოხერხდა შეწყდეს სისხლისღვრა, დაიწყოს მხარეთა შორის პოლიტიკური მოლაპარაკება კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე. უფრო მეტიც, კონფლიქტის მასშტაბი იზრდება და ფართოვდება, რაც უარყოფითს შედეგებს უქმნის მთელი რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას, ითრევს კონფლიქტში სხვა ქვეყნებსა და ძალებს.

ეს კონფლიქტი, რომელსაც საერთო არა აქვს რა ერაყისა და ირანის ხალხებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლის გზას რომ დაადგნენ, ხელს აძლევს მხოლოდ იმათ, ვისაც სურს მხარეებს გაანაგვინონ ან დაასუსტებინონ ერთმანეთი და ასეთ პირობებში აღუდგინონ პოზიციები ნეოკოლონიალიზმს ახლო და შუა აღმოსავლეთში. იგი გახდა ფაქტორი, რომელიც უთანხმოებასა და შფოთს თესავს არაბულ სახელმწიფოთა რიგებში, ართულებს მდგომარეობას მიუმხრობლობის მოძრაობაში.

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲡᲘᲛᲦᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲨᲕᲐᲠᲒᲚᲘᲡ ᲒᲕᲝᲠᲒᲕᲝᲑᲝ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ, სომხური და ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვებისაგან ლამაზი გვირგვინი დაწნეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული კონცერტის ნორჩმონაწილეებმა, ამ კონცერტით დასრულდა თბილისში ამერკავკასიის რესპუბლიკების ბავშვთა ხელოვნების დღესასწაული.

...სცენაზე გამოდიან ბაქელი, ერევნელი და თბილისელი მოსწავლეები — ლალა ეფენდიევა, თამარ ნერსესიანი და მიხეილ ჭკუასელი. დღესასწაულის მონაწილეთა სახელით მთ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ბედნიერი ბავშვობისათვის, მოზარდ თაობაზე, მის სულიერ და შემოქმედებით ჩამოყალიბებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

ამიერკავკასიის ნორჩ მოქალაქეთა მეგობრობის სიმბოლო გახდა ცეკ

დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობის ზრდის საფუძველზე

წარმოების ყველა რგოლი — სამეურნეო ანგარიშზე

ფერილი პირველი

სოციალისტური სამრეწველო საწარმო ((გაერთიანება) სახალხო მეურნეობის პირველადი, ძირითადი რგოლია, ამდენად, იგი სახოგადოებრივი წარმოების, საკუთრების და მართვის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების ჩარჩოებში საწარმო როგორც ადმინისტრაციულად, ისე ეკონომიკურად, გვევლინება გამოცალკევებულ სამეურნეო რგოლად. ამიტომ საწარმო, როგორც საწარმოო ძალთა ფუნქციონირების განსაკუთრებული ფორმა, ხასიათდება ორი ნაწილის გამოცალკავების ერთიანობით — ეს არის საწარმოო-ტექნიკური და ეკონომიკური. სამრეწველო საწარმოს საწარმოო-ტექნიკური გამოცალკევება (დამოუკიდებლობა) განპირობებულია სახოგადოებაში შრომის დანაწილების პირველადი რგოლის სახით, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობა ასახავს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით მოქმედი საწარმოო უჯრედების (რგოლების) მოქმედების ფორმას, რომელიც უფლებრივად უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ერთიან სისტემაში მათს ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, დღემდე დისკუსიის პროცესშია საწარმოთა დამოუკიდებლობის, უფლებებისა და პასუხისმგებლობის მრავალი საკითხი. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით მოქმედების ფარგლებში ეკონომიკური გამოცალკევების საფუძველზე ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის ჩარჩოები. ამ საკითხის თეორიული დამუშავების შედარებით დაბალი დონის გამო ძნელად წყდება მისი პრაქტიკული მხარე, და ამიტომ ნორმატიული აქტებით, დებულებით და ინსტრუქციებით მინიჭებული დამოუკიდებლობა, უფლებები და პასუხისმგებლობა არ არის სათანადოდ გარანტირებული.

თანამედროვე პირობებში სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა მოქმედების საფუძველია დებულება, რომელიც მიიღეს 1965 წელს და განსაზღვრავს მათი მოქმედების მიზანს, ამოცანებს, უფლებრივ კომპეტენციას და ვალდებულებებს. დებულებაში წარმოდგენილია სოციალისტური საწარმოსათვის დამახასიათებელი ძირითადი უფლებრივი ნორმები და მოქმედების წესი. დებულების მიღების შემდეგ ჩვენი სამეურნეო მექანიზმის მოქმედებაში ბევრი რამ შეიცვალა. ეს კი მოითხოვს მთელი რიგი დეკლარაციული ხასიათის ნორმატიული აქტების გადასინჯვას, მათ მუშაობის რეალურ პირობებთან მიახლოებას.

„ჩვენი ქვეყნის პირობებში, რომელსაც უდიდესი და რთული ეკონომიკა აქვს, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისათვის საჭიროა დრო და ენერგიული ღონისძიებანი. შეიძლება წავაწყდეთ სიძნელეებს, დაზღვეული არა ვართ შეცდომებისაგან, მაგრამ ახლა მაინც მთავარია მიზანდასახულად, თანდათანობით ვიაროთ არჩეული მიმართულებით, შევავსოთ და სრულყოთ სამეურნეო მექანიზმი შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, აღმოვფხვრათ ყველაფერი, რამაც დრო მოუმატა ან ვერ გაამართლა“, აღნიშნა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობაზე. ეს სიტყვები პირდაპირ შეეხება ამჟამად მომქმედ დებულებას.

ამჟამად მუშაობება კანონი სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მშრომელთა კოლექტივების უფლებების გაფართოების აუცილებლობა. საქმე ის არის, რომ საწარმოთა დამოუკიდებლობის და უფლებრივი კომპეტენციის გაფართოება ბევრ საკანონმდებლო დოკუმენტშია აღნიშნული, ბევრი ლაპარაკია ინსტრუქციებსა და სადირექტივო განკარგულებებში, ეს იწერება პრესაშიც, მაგრამ მათი სრული რეალიზაციის პირობები ყოველთვის არ არის.

მაგალითად, სამრეწველო საწარმოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ წარმოების განვითარების ფონდი, მაგრამ დაგეგმვის წესი და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ისევ აგებული, რომ ამ მინიჭებული უფლების რეალიზაცია არ ხერხდება.

სამრეწველო საწარმო არა მარტო აწარმოებს გარკვეული სახეობის პროდუქციას, არამედ ახდენს მის რეალიზაციასაც, მონაწილეობს გაცვლის სფეროშიც, რაც სასაქონლო-ფულად ურთიერთობაზეა დამყარებული. სწორედ ჯანსაღ სასაქონლო-ფულად ფუნქციონირებას შესწევს უნარი შექმნას ისეთი ვითარება, მეურნეობრიობის ისეთი პირობები, როცა მისი შედეგები მთლიანად იქნება დამოკიდებული კოლექტივის მუშაობის ხარისხზე, მისი ხელმძღვანელობის უნარზე და ინიციატივაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, რომ სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის დროს ცენტრალიზებული საწყისების განმტკიცების გზით გადედულად უნდა წავიწყოთ წინ; საწარმოთა უფლებების გაფართოებისათვის, მათი დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში და ამის საფუძველზე გავაძლიეროთ შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა და დაინტერესება მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის.

თანამედროვე პირობებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომპლექსურ პროგრამაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საწარმოთა მართვის აპარატის მუშაობის ეფექტიანობის გადიდებას, მართვის ორგანოებს შორის უფლებებისა და მოვალეობის სიზუსტით განსაზღვრას, მართვის იერარქიულ სისტემაში ზედმეტი რგოლების გაუქმებას, მუშაობაში დებირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრას. ამ საკითხების მნიშვნელობა და აქტუალურობა ახლა, წარმოების ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებით, ინტენსიურად იზრდება.

ანკეტური გამოკვლევების საფუძველზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტმა ხუთი შეკითხვით მიმართა ქვეყნის სხვადასხვა სამრეწველო ((ენტრის 60 სამრეწველო საწარმოს დირექტორს.

პირველი კითხვა: ჩვენს პრესაში ხშირად იწერება, რომ სამეურნეო ანგარიშით მომუშავე საწარმოის სამეურნეო დამოუკიდებლობა უნდა გაფართოვდეს. ამასთან დაკავშირებით მხარს უჭერენ თუ არა ისინი ამ აზრს? 98 პროცენტმა დადებითად უპასუხა, ოთხი პროცენტი სანანავრეოდ უჭერდა მხარს, მაგრამ უარყოფითი პასუხიც არავის გაუცია.

მეორე კითხვა: შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ უკანასკნელი 2-3 ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოდა საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და დირექტორის უფლებები? დადებითად უპასუხა მხოლოდ ცხრა პროცენტმა, 53-მა კი უარყოფითად, ხოლო 30 პროცენტმა აღნიშნა, რომ უფრო მეტად საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმეო, რვა პროცენტს პასუხის გაცემა გაუძნელდა.

მესამე კითხვა გულისხმობდა იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება დირექტორების მუშაობის პრაქტიკაში მოქმედი ინსტრუქციები და დებულებები (მის რომელიმე ნაწილში მაინც) სამეურნეო მიზანშეწონილობის მოსაზრებას. 26-მა პროცენტმა უპასუხა, რომ ეწინააღმდეგება ხანდახან, 57 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ ხშირად ეწინააღმდეგება, 14-მა პროცენტმა — პრაქტიკულად ყოველთვის ეწინააღმდეგებაო.

მეოთხე კითხვა: უნდა ეპასუხათ, თუ რომელ დარგში იგრძნობა უფრო მეტად დირექტორის უფლებების შეზღუდვა. 61 პროცენტმა უპასუხა, რომ — წარმოების დაგეგმვაში, 48 პროცენტმა — კაპიტალური მშენებლობის დარგში, 3 პროცენტმა — ფასწარმოქმნაში, 65 პროცენტმა — შრომასა და ხელფასში, სხვა სფეროში — 5 პროცენტმა. ამ კითხვაზე ზოგიერთმა დირექტორმა პირდაპირ უპასუხა, რომ დირექტორებს არა აქვთ დამოუკიდებლობის უფლებები არც ერთ ჩამოთვლილ სფეროშია, ყველაზე მეტ უუფლებობას გამოკითხულთა უმეტესობა დაეგეგმვის სფეროში ხედავს.

მეხუთე კითხვა: თვლით თუ არა თქვენ საწარმოს დამოუკიდებლობის გაფართოებას ჩვენი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკვანძო პრობლემად მეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცების შესახებ, სკკპ XXVII ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „პარტია აქტიურად განახორციელებს ძირითადი საწარმოო რგოლის — გაერთიანებებისა და საწარმოების როლის გაძლიერების ღონისძიებებს, თანამიმდევრულად გაატარებს გეზს მათი უფლებებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის გასაფართოებლად, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის პასუხისმგებლობისა და დაინტერესების გასაძლიერებლად“. ამ სადირექტივო მითითებათა რეალიზაციისათვის დაინერგა ბევრი სიახლე და განხორციელდა გარდაქმნები. საწარმოთა დამოუკიდებლობის მიმართულებით არის ერთგვარი მიღწევებიც, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდად ჭარბობს ფორმალიზმი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მინიჭებული უფლებები არ არის უზრუნველყოფილი იურიდიულად. უნდა მივაღწიოთ, რომ სამინისტროებთან ურთიერთობაში არსებობდეს ურთიერთვალდებულებათა და პასუხისმგებლობის დახვეწილი სისტემა.

საკმარისი არ არის, რომ საწარმოებს მხოლოდ მივცეთ უფლებები, საჭიროა შეიცვალოს, გაანალიზეს მათი რეალიზაციისათვის საჭირო პირობები. შეიცვალოს შესაბამისად სამეურნეო, საფინანსო, საკრედიტო და სხვა დაწესებულებებთან მარეგულირებელი და მარეგლამენტებელი ურთიერთობანი. ამასთან, საჭიროა ერთდროულად გადაწყდეს შესაბამისი ნორმატიული აქტების გარდაქმნისა და სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოების მინიჭებულ უფლებებს ახალი სამეურნეო მექანიზმის მოქმედების პირობებში.

სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა უფლებრივი ელემენტების სრულყოფა უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით, როგორც საწარმოთა გარემომცველ სამეურნეო, საფინანსო და საკრედიტო სისტემებთან ურთიერთობაზე, ისე იმ უფლებრივი ფუნქციების სრულყოფით, რომელთა რეალიზაცია საწარმოს ფონზე ხორციელდება, ესე იგი, რომელიც ყალიბდება საწარმოს შინაგან სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ გაერთიანებების და საწარმოების მართვის თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა უკვე ვეღარ უზრუნველყოფს ახალ პირობებში დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშების ფუნქციების დეცენტრალიზაციის ლონისძიებათა ეფექტიანობას. მართვის იერარქიულ სისტემაში ცალკეული რგოლების ოპერატიული დამოუკიდებლობის შეზღუდვა ბიუროკრატიზმის ერთ-ერთ მამრთულებად ჩვენი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უნდა ჩაითვალოს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიური ბრიგადული ფორმების საყოველთაო გავრცელება. შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების გავრცელებული ფორმებიდან ყველაზე პროგრესულია სრული სამეურნეო ანგარიშით მოქმედი ბრიგადა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს საწარმოს, ან მისი უფრო ძირეული რგოლების, საამქროების და უბნების დონეზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს. მაგრამ, ზემოთ აღნიშნული სიძნელეების გამო, შრომის ორგანიზაციის ამ ფორმამ სათანადო განვითარება და გავრცელება ვერ პოვა. კაჟმირის მასშტაბით, 1985 წლის დამლეგს სამეურნეო ანგარიშის ელემენტით მოქმედებდა ბრიგადების 29 პროცენტი, ჩვენს რეაუბლიკაში კი 19,1 პროცენტი. ცხადია, ამათგან სრულ სამეურნეო ანგარიშზე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო გადაყვანილი. საქმე ის არის, რომ დღემდე მოქმედი შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიში მოიცავს წარმოების მხოლოდ ზოგიერთ ფაზას და არ ასახავს სახსრების სრული ღირებულებით წრებრუნვას. იმის გამო, რომ ბრიგადა ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებელი საგეგმო-საღირიცხვო ერთეული ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის სისტემაში, იგი ხელოვნურად ვარდება შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის სისტემიდან. აქედან გამომდინარეობს ის შეშარატება, რომ არ ქმარა ბრიგადისათვის გარკვეული უფლებების მინიჭება, აუცილებელია, რომ მას შეეძინას ამ უფლებების რეალიზაციის სათანადო პირობები. ამის მიზეზია ის, რომ მრავალი ბრიგადის მიერ ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები სწორედ დირექციის მხრივ არის ფორმალური ხასიათისა და არ სრულდება. გარდა ამისა, სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადების გადასვლა ვარაუდობს მთლიანად ქვედანაყოფის (საამქროს) მუშაობას სამეურნეო ანგარიშით. შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის მოქმედი სისტემა კი მეტწილად არ გულისხმობს საამქროთა სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობას. მართალია, ფართო მასშტაბის ეკონომიკურმა ექსპერიმენტმა შექმნა საამისო კეთილსასურველი პირობები, მაგრამ მას მაინც ვერ მოჰყვა სრული წარმატება ამ სფეროში. დაგეგმვის არსებული პრაქტიკა არ ქმნის წარმოების მოცულობის ზრდით დაინტერესების პირობებს, რადგან წლიურს მიღწეული შედეგები ბაზაა მომავალი წლის მაჩვენებელთა დაგეგმვისათვის. ანალოგიური ფაქტების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს და ეს ადასტურებს იმას, რომ შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის განვითარების ხელს უშლის მინიჭებული უფლებების შესრულების პირობების უქონლობა.

დ. ძნელაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის საფუძვლების, სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი.

უკვე 20 წელზე მეტია, რაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ხვედელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობასთან ერთად, ასტრონომიას და ფიზიკას ასწავლის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის №3-ე საშუალო სკოლაში, აზიარებს მომავალ თაობას მეცნიერებათა საფუძვლებს. ისინიც ვალში არ რჩებიან. მისი მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციებში მრავალგზის აღნიშნულა საპატიო დიპლომებით.

ზ. ხვედელიძის აღზრდილთა შორის ამჟამად ბევრია მეცნიერებათა კანდიდატი თუ დოქტორი.

სურათზე: ზ. ხვედელიძე ასტრონომიის კაბინეტში გაკვეთილს ატარებს X კლასში.

გ. სანაიას ფოტო.

საქალაქო კომიტეტის მდივანს მეცეტრუსეობის ვეურნეობიდან სამსახურში დაურეკავს, თუ ვინმე მელოდება, მალე მოვალო.

დილაა, ცხრა საათი თუ იქნება, ამინდი საავდრო ჩანდა და კიდეც „მოსკოა ზეცა“, ეურვით თუ მოვა, თორემ... გაგონილა? — წყალშია ქალაქი...

ასე იციან ამ მადლიანმა მხარემ, ერთ წუთში რომ თქვშია და იქცევა ქვეყანა, მეორე წუთში მზეა ჩახჩახა...

გაგრის საქალაქო კომიტეტის მდივნის მყუდრო მოსაცდელში წიგნს ვათვალიერებთ, ინალიფას. ლამაზი წიგნი დაუწერია ამ „ოქრო მიწა-წყალზე“, ერთმა ქვეთავმა მიიქცია ყურადღება უფროს-უმცროსობის ეთიკა აფხაზეთში. ხანდაზმულობა არ არის ისე საინტერესო შესასწავლი პრობლემა, როგორც ასაკობრივი ურთიერთობის კრისტალიზაცია. ხანდახან გეჩვენება, რომ „დროთა კავშირი“ არასოდეს დარღვეულა და „წამი შეჩერებულა“, თორემ ასე როგორ გვანან ერთმანეთს... ასე როგორ გაიმეორეს ერთმანეთი?

ჩვენ (როგორც განცხადებაში წერენ) ქვემორე ხელისმომწერი ახალგაზრდა ეურნალისტები ამ 25 წლის წინათ მივლინებაში გახლდით, მასპინძელმა ვახშამი გამართა (აქ სადღეგრძელოს დამჯდარი არავინ ვეტყვის, საკინძეს არავინ გაიხსნის, არც შენობით იციან ლაპარაკი ვინმეს აქ).

შევამჩნიეთ, რომ ერთი ჭარმაგი აფხაზი ოთახიდან ხშირად გადის, გავყევით, კაცი ბოძს მიჰყოდებოდა და პაპიროსს ეწეოდა, ჩვენ რომ შეგვამჩნია, გაგვიღიმა და მობოდიშებით გვითხრა:

— უკაცრავად გახლავართ, ყმაწვილებო, მაგრამ სუფრასთან ჩემი უფროსი ძმა ზის და მასთან თუთუნის მოწევას ვერა ვბედავო!

ჩვენ ორივენი ვახჩოლებთ თამბაქოს და დავიმორცხვეთ, ეს „ზრდილობის გაკვეთილი“ კი მთელი სიცოცხლე გაგვყვა. როცა ეს ამბავი რედაქციაში ვუამბეთ, ერთმა უფროსმა კოლეგამ გვითხრა: 1918 წელს სწორედ გუდაუთაში შემემთხვა იგივე ამბავი...

...ვალერი ფილია — შუა ხნის, ენერგიული კაცი მალე დაბრუნდა. — თქვენ განდათ წერილი დაწეროთ სერგო შელიასა და ზაურ ლაკობაზე? სწორედ რომ კარგი იქნება. იცოდეს საქართველომ მათი ამბავი, იმსახურებენ ამას, კოლორატს მატებენ ჩვენს ქალაქს... ისინი უბრალოდ დირექტორი და მოადგილე არ გეგონოთ. ეახსოვს, ზღვამ რომ შემოგვიტია, გამაგრების სამუშაოზე მარტო „თავის წილ“ კი არ მოიზომეს სამუშაო, საერთო-სახალხო საქმეს ამოუდგნენ მხარში. ზაურ ლაკობა ოც წელზე მეტია შელიასთან არის, მაგის გაზრდილია, მორდუა... ასე უძახიან ჩვენში გამზრდილს!

(„ზაურ ლაკობს მორდუ“ — ბაბონო, სხვის ნაჯაფარ სახლში ერთ ღამესაც ვერ გავათევო! ასეთი გზით მოსიარულე კაცი აგაკაცობისაკენ არ გაიხედავს. ესეც ყველამ იცის ეს.

ზაურ ლაკობაც ასე ჰყავს გამოზრდილი. ასეთ ტრადიციებზე, ასეთი ჭკუითა და გონებით...

ერთი შეხედვით რა არის ამდენი სალაპარაკო? პანსიონატი და მისი დირექტორი?.. თუ საქმეში კარგად ჩაიხედავს კაცი, შედეგსაც დიდს ნახავს და ადამიანებსაც.

პანსიონატი „ენერგეტიკოსი“ ახლა ვეებერთელა 17-სართულიანი სახლია, თითქმის სულ ცარიელი ადგილზე დაიწყო ჩამოყალიბება. ახლა საგანგებოდ ფეშენებელური ზღვისპირა სასტუმროებიც კი ვერაფრით გაუთბოდა, ამ ორმა კაცმა კი დაადგეს ყველაფერს თავი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია...

...მივყვებით ამ ორი კაცის ცხოვრების გზას, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ძალა აქვს, როცა ადამიანებს ერთმანეთისა სწამთ და სჯერათ.

შელია პირველად ელექტრიფიკაციის სამინისტროს გიგრის პატარა პიონერთა ბანაკის დირექტორად დანიშნეს. დამნიშვნელობამ იცოდნენ შელიას ნიჭიერების ამბავი, მაგრამ თუ ასე მალე მიადგებოდა მოსკოვში მათ კარს შელია ოდესმე, ვეგმებით და ნახაზებით არ ეგონათ.

მინისტრი იმის მინისტრია, რომ ავი და კარგი გაარჩიოს, მაგრამ დაეჭვდა კაცი. ჯერ თქვა, იქნებ უფრო პატარა ავაშენოთო, მაგრამ მაგრად დადგა ჯერ არ არსებული პანსიონატის დირექტორი.

— რა ვქნა, იქნებ ჩემი ნაკლიც ეს იყოს, მაგრამ მეც მიყვარს დიდი სამუშაოებიო! — თქვა მინისტრმა.

ახლა, როცა ამ ამბავს იხსენებს შელია, თავს გაკვირვებით იქნევს: რამ გამაბედვინონო!

ახლაც კარგად იცის და მაშინაც კარგად იცოდა, რომ ჩაფიქრებულ საქმეს აუცილებლად დაადგამდა თავს, მაგრამ მაინც...

ჩვენთან ერთად ზაურ ლაკობა ისე უგდებს ყურს დირექტორს, თითქოს ისიც პირველად ისმენდეს ამ ამბავს. შელიასაც სწამდა და ლაკობასაც, რომ ამ პიონერთა, „ციცქნა“ სამყოფელიდან „ცათამბჯენი“ უნდა აღმართულიყო.

1966 წელს აქ პიონერულ ხაზზე 240 ბავშვი გამოდიოდა. ახალი პანსიონატის მშენებლობის პასუხისმგებელი და პირველი დირექტორი შელია იყო, ლაკობა კი მოადგილე, მისი შერჩეული და გამოზრდილი ლაკობა, ასე რომ, ქართულ ანდაზას — „მარტო კაცი ჭამშიაც ბრალიაო“, შელიაზე ვერ ვიტყოდით, თუ „თავვარსარდლად“ შელიას მივიჩნევდით, ლაკობა მისი „ლაშქარი“ იყო — ყარიული, მეკუბნავე, მეეზოვე, მძოლი, დირექტორის მრადგილე...

ვისაც ძველად ან ახლა უნახავს ამ ორი კაცის ურთიერთობა (ტყუილად კი არ ვახსენებენ ინალიფას ყოველ ზეგნებ), ტიპური, ამ კუთხეში ფაფეტმშეული ერთგულების, ზრდილობისა და მოკრძალების გამოვლინებაა ჭეშმარიტი, როგორც ნამდვილ უფროს-უმცროსობას ეკადრება... ასე იყო ოდითგან, ენგურს გიდმა-გამოდმა სიმეტატარძლობა, გაძეძავება, ნათელმორნი, სულ სხვა, უფრო ახლობლურ და ღრმა შინაარს აძლევდა ჩვენს ურთიერთობას.

..ბევრს უკვირს დირექტორისა და მოადგილის შეხმატკბილებული დუეტი, ნუთუ ეს ვეება, ლამაზი პანსიონატი, სადაც წელიწადში 8.000 კაცი ისვენებს, თავისი დარბაზებითა და ჰოლებით, ბარებითა და მოედნებით, მართლა ამ ორი კაცის მხარი-მხარ დგომამ გააკეთა?

ასეა ალ... თავდაპირველად მესამე — ალა ზვერკოვი შეემატათ. სამტატო ერთეული — დაალაგებელი და ლაკობას ერთი „თანამდებობა“ ჩამოსცილდა.

ეს იყო 1965 წლის 16 ივლისს, სამკაციანი „დაწესებულება“ საქმეს შეუდგა.

პირველი, რაც ამ დღეს მოხდა, ვიღაცამ მტრობით რამდენიმე ალვის ხე მოჭრა. ეწყინათ, მაგრამ რა ექნათ, სამაგიეროდ იმ დღიდან დღემდე ახლა წალკოტად ქცეულ ამ შემოგარენში არ არსებობს არც ერთი ხე, ბუჩქი და ყვავილიც კი, რომ მათ გარეშე დარგულიყოს.

სამუშაოებს „სარატოვენმშენი“ აწარმოებდა. ამ საქმეს ბევრი მოწინააღმდეგეც გაუჩნდა. ჩვენში მშენებელი რამ გამოლიაო. მაგრამ შელია დაეინებით იდგა თავისაზე... ვიცნობ იმ ხალხს, ვიცი მათი ამბავიო.

სართულს სართული ემატებოდა, და იმ მეზობლებისა არ იყოს, ღობეს რომ აგებდნენ, სიამტკბილობაში, ვეება პანსიონიც აღიმართა.

ლაკობას ეკითხეთ:

— ზაურ, ხვალ მორდუ რომ გადაიყვანონ?

გაიცინა:

— რა დაუშავ?

— ისე, ვთქვათ გადაიყვანეს...

— რა თქმა უნდა, წავალ... მასთან ყოველთვის მოიძებნება საჩემო საქმე... ჩვენი ძმობა ყველა ბეტონზე გამძლეა.

ზემოთ ვთქვით, მშენებლობა რომ დაუწყეთ, ვიღაც ბოროტს დარჩენილი ორიოდე ალვის ხეც მოუჭრია.

— გახსოვთ? — ეუბნება ზაური მორდუს, — მაშინ თქვენ მითხარით, არაფერია, ზაურ, გული არ გიატეხო, ბარემ სულ არაფრიდან დავიწყოთო საქმე...

* * *

ახლა აქ დიდი წალკოტია, რომელიც ნამდვილი ვეება „ნატვრის ხეცა“ ხარობს. ალბათ ამიტომ ათასობით კაცი მიდის, მოდის და აქაურობა ბავშვობაში ნანახი სიზმარივით რჩება...

ი. ბოგეჩია,
რ. დვალიშვილი.
გაგრა. დეკემბერი.

ზაურ ლაკობას მორდუ...

ნარკვევი

საქალაქო კომიტეტის მდივანს მეცეტრუსეობის ვეურნეობიდან სამსახურში დაურეკავს, თუ ვინმე მელოდება, მალე მოვალო.

დილაა, ცხრა საათი თუ იქნება, ამინდი საავდრო ჩანდა და კიდეც „მოსკოა ზეცა“, ეურვით თუ მოვა, თორემ... გაგონილა? — წყალშია ქალაქი...

ასე იციან ამ მადლიანმა მხარემ, ერთ წუთში რომ თქვშია და იქცევა ქვეყანა, მეორე წუთში მზეა ჩახჩახა...

გაგრის საქალაქო კომიტეტის მდივნის მყუდრო მოსაცდელში წიგნს ვათვალიერებთ, ინალიფას. ლამაზი წიგნი დაუწერია ამ „ოქრო მიწა-წყალზე“, ერთმა ქვეთავმა მიიქცია ყურადღება უფროს-უმცროსობის ეთიკა აფხაზეთში. ხანდაზმულობა არ არის ისე საინტერესო შესასწავლი პრობლემა, როგორც ასაკობრივი ურთიერთობის კრისტალიზაცია. ხანდახან გეჩვენება, რომ „დროთა კავშირი“ არასოდეს დარღვეულა და „წამი შეჩერებულა“, თორემ ასე როგორ გვანან ერთმანეთს... ასე როგორ გაიმეორეს ერთმანეთი?

ჩვენ (როგორც განცხადებაში წერენ) ქვემორე ხელისმომწერი ახალგაზრდა ეურნალისტები ამ 25 წლის წინათ მივლინებაში გახლდით, მასპინძელმა ვახშამი გამართა (აქ სადღეგრძელოს დამჯდარი არავინ ვეტყვის, საკინძეს არავინ გაიხსნის, არც შენობით იციან ლაპარაკი ვინმეს აქ).

შევამჩნიეთ, რომ ერთი ჭარმაგი აფხაზი ოთახიდან ხშირად გადის, გავყევით, კაცი ბოძს მიჰყოდებოდა და პაპიროსს ეწეოდა, ჩვენ რომ შეგვამჩნია, გაგვიღიმა და მობოდიშებით გვითხრა:

— უკაცრავად გახლავართ, ყმაწვილებო, მაგრამ სუფრასთან ჩემი უფროსი ძმა ზის და მასთან თუთუნის მოწევას ვერა ვბედავო!

ჩვენ ორივენი ვახჩოლებთ თამბაქოს და დავიმორცხვეთ, ეს „ზრდილობის გაკვეთილი“ კი მთელი სიცოცხლე გაგვყვა. როცა ეს ამბავი რედაქციაში ვუამბეთ, ერთმა უფროსმა კოლეგამ გვითხრა: 1918 წელს სწორედ გუდაუთაში შემემთხვა იგივე ამბავიო...

...ვალერი ფილია — შუა ხნის, ენერგიული კაცი მალე დაბრუნდა. — თქვენ განდათ წერილი დაწეროთ სერგო შელიასა და ზაურ ლაკობაზე? სწორედ რომ კარგი იქნება. იცოდეს საქართველომ მათი ამბავი, იმსახურებენ ამას, კოლორატს მატებენ ჩვენს ქალაქს... ისინი უბრალოდ დირექტორი და მოადგილე არ გეგონოთ. ეახსოვს, ზღვამ რომ შემოგვიტია, გამაგრების სამუშაოზე მარტო „თავის წილ“ კი არ მოიზომეს სამუშაო, საერთო-სახალხო საქმეს ამოუდგნენ მხარში. ზაურ ლაკობა ოც წელზე მეტია შელიასთან არის, მაგის გაზრდილია, მორდუა... ასე უძახიან ჩვენში გამზრდილს!

(„ზაურ ლაკობს მორდუ“ — ბაბონო, სხვის ნაჯაფარ სახლში ერთ ღამესაც ვერ გავათევო! ასეთი გზით მოსიარულე კაცი აგაკაცობისაკენ არ გაიხედავს. ესეც ყველამ იცის ეს.

ზაურ ლაკობაც ასე ჰყავს გამოზრდილი. ასეთ ტრადიციებზე, ასეთი ჭკუითა და გონებით...

ერთი შეხედვით რა არის ამდენი სალაპარაკო? პანსიონატი და მისი დირექტორი?.. თუ საქმეში კარგად ჩაიხედავს კაცი, შედეგსაც დიდს ნახავს და ადამიანებსაც.

პანსიონატი „ენერგეტიკოსი“ ახლა ვეებერთელა 17-სართულიანი სახლია, თითქმის სულ ცარიელი ადგილზე დაიწყო ჩამოყალიბება. ახლა საგანგებოდ ფეშენებელური ზღვისპირა სასტუმროებიც კი ვერაფრით გაუთბოდა, ამ ორმა კაცმა კი დაადგეს ყველაფერს თავი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია...

...მივყვებით ამ ორი კაცის ცხოვრების გზას, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ძალა აქვს, როცა ადამიანებს ერთმანეთისა სწამთ და სჯერათ.

შელია პირველად ელექტრიფიკაციის სამინისტროს გიგრის პატარა პიონერთა ბანაკის დირექტორად დანიშნეს. დამნიშვნელობამ იცოდნენ შელიას ნიჭიერების ამბავი, მაგრამ თუ ასე მალე მიადგებოდა მოსკოვში მათ კარს შელია ოდესმე, ვეგმებით და ნახაზებით არ ეგონათ.

მინისტრი იმის მინისტრია, რომ ავი და კარგი გაარჩიოს, მაგრამ დაეჭვდა კაცი. ჯერ თქვა, იქნებ უფრო პატარა ავაშენოთო, მაგრამ მაგრად დადგა ჯერ არ არსებული პანსიონატის დირექტორი.

— რა ვქნა, იქნებ ჩემი ნაკლიც ეს იყოს, მაგრამ მეც მიყვარს დიდი სამუშაოებიო! — თქვა მინისტრმა.

ახლა, როცა ამ ამბავს იხსენებს შელია, თავს გაკვირვებით იქნევს: რამ გამაბედვინონო!

ახლაც კარგად იცის და მაშინაც კარგად იცოდა, რომ ჩაფიქრებულ საქმეს აუცილებლად დაადგამდა თავს, მაგრამ მაინც...

ჩვენთან ერთად ზაურ ლაკობა ისე უგდებს ყურს დირექტორს, თითქოს ისიც პირველად ისმენდეს ამ ამბავს. შელიასაც სწამდა და ლაკობასაც, რომ ამ პიონერთა, „ციცქნა“ სამყოფელიდან „ცათამბჯენი“ უნდა აღმართულიყო.

1966 წელს აქ პიონერულ ხაზზე 240 ბავშვი გამოდიოდა. ახალი პანსიონატის მშენებლობის პასუხისმგებელი და პირველი დირექტორი შელია იყო, ლაკობა კი მოადგილე, მისი შერჩეული და გამოზრდილი ლაკობა, ასე რომ, ქართულ ანდაზას — „მარტო კაცი ჭამშიაც ბრალიაო“, შელიაზე ვერ ვიტყოდით, თუ „თავვარსარდლად“ შელიას მივიჩნევდით, ლაკობა მისი „ლაშქარი“ იყო — ყარიული, მეკუბნავე, მეეზოვე, მძოლი, დირექტორის მრადგილე...

ვისაც ძველად ან ახლა უნახავს ამ ორი კაცის ურთიერთობა (ტყუილად კი არ ვახსენებენ ინალიფას ყოველ ზეგნებ), ტიპური, ამ კუთხეში ფაფეტმშეული ერთგულების, ზრდილობისა და მოკრძალების გამოვლინებაა ჭეშმარიტი, როგორც ნამდვილ უფროს-უმცროსობას ეკადრება... ასე იყო ოდითგან, ენგურს გიდმა-გამოდმა სიმეტატარძლობა, გაძეძავება, ნათელმორნი, სულ სხვა, უფრო ახლობლურ და ღრმა შინაარს აძლევდა ჩვენს ურთიერთობას.

..ბევრს უკვირს დირექტორისა და მოადგილის შეხმატკბილებული დუეტი, ნუთუ ეს ვეება, ლამაზი პანსიონატი, სადაც წელიწადში 8.000 კაცი ისვენებს, თავისი დარბაზებითა და ჰოლებით, ბარებითა და მოედნებით, მართლა ამ ორი კაცის მხარი-მხარ დგომამ გააკეთა?

ასეა ალ... თავდაპირველად მესამე — ალა ზვერკოვი შეემატათ. სამტატო ერთეული — დაალაგებელი და ლაკობას ერთი „თანამდებობა“ ჩამოსცილდა.

ეს იყო

ვიზიტი ფინეთში

(დასასრული)

რა 1995 წლამდე მოქმედი საავარო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება-გაღრმავების გრძელვადიანი პროგრამით განსაზღვრულ ფართო მასშტაბის ამოცანათა რეალიზაცია.

საბჭოთა მთავრობის სახელით ნ. ი. რიჟკოვმა სხოვა კ. სორსას ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში.

* * *

შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მთელი რიგი დოკუმენტების ხელმოწერა.

ნ. ი. რიჟკოვმა და კ. სორსამ ხელი მოაწერეს სამთავრობაშორისო შეთანხმებებს ბირთვული ავარიის შესახებ ოპერატიული შეტყობინებისა და ბირთვული ობიექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე; კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი კვლევისა და გამოყენების დარგში თანამშრომლობის თაობაზე.

1987 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების ოქმს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ბ. ი. არისტოვმა და ფინეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე. ლაინენ.

ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმების სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის საქციო საზოგადოებასა და საქციო საზოგადოება „ფინეირს“ შორის, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მთელი რიგი გაერთიანებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

* * *

კ. სორსამ საუზმე გაუმართა ნ. ი. რიჟკოვს. საუზმეზე იყო მ. კოივისტო.

მთავრობათა მეთაურებმა წარმოთქვეს სიტყვები.

* * *

ნაშუადღევს ნ. ი. რიჟკოვი სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ქალაქ ტურკუში, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრია.

ჩამოსვლისას მას დახვდნენ ტურკუ-პოროს გუბერნიის გუბერნატორი პირკო ტიუფალარვი და სხვა ოფიციალური პირნი.

ტურკუში ნ. ი. რიჟკოვი ეწვია მსუბუქი მრეწველობის ფირმა „აურან კენკიატეჰდასის“ საწარმოს. აქ კერავენ თანამედროვე ქალის ფეხსაცმელს. პროდუქციის ნახვისარხე მეტი საბჭოთა კავშირში იგზავნება. საწარმოს დათვალიერების დროს ნ. ი. რიჟკოვმა გამოიკითხა, თუ როგორია წარმოების ტექნოლოგია, ესაუბრა მუშებსა და მოსამსახურეებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დაათვალიერა ქალაქის ძველებური ციხე-დარბაზი, ტრადიციული ხალხური რეწვის ნაწარმოებთა გამოფენა.

ქალაქის მუნიციპალიტმა დარბაზობა გაუმართა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს. სპატიო საბჭოთა სტუმარს გულითადად მიესალმა ტურკუს რწმუნებულთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ლეიტიუნიემი.

ქვეყანაში მოგზაურობისას ნ. ი. რიჟკოვს თან ახლავს კ. სორსა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

საიდუმლო როდია, რომ ირან-ერაყის კონფლიქტის განგრძობით სარგებლობენ იმპერიალისტური ძალები, რათა გააძლიერონ სამხედრო ყოფნა სპარსეთის ყურის რაიონში და შექმნან პირობები აქაური სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. თავიანთი „საარსებო ინტერესების“ დაცვის მოგონილი საბაბით სახელმწიფოები, რომლებიც ამ რაიონს მრავალი ათასი კილომეტრით არიან დაშორებული, სპარსეთის ყურეში გზავნიან სამხედრო ხომალდებს, აყალიბებენ სპეციალურ სამხედრო სარდლობებს, აწყობენ „სწრაფი რეაგირების ძალების“ მანევრებს, ძალას ატანენ აქაურ ქვეყნებს და საფრთხეს უქმნიან მათს უშიშროებას.

ამერიკის შეერთებული შტატები დიდის ამბით აცხადებს, რომ ესწრაფვის ირან-ერაყის კონფლიქტის შეწყვეტას, სინამდვილეში კი ცეცხლზე ნავთს ასხამს და პროვოკაციულად იწვევს ორ მეზობელ ქვეყანას შორის სისხლისღვრის შემდგომ განგრძობას. ამასთან ვაშინგტონში ცდილობენ პოლიტიკური მაქინაციები და იარაღთან დაკავშირებული ფარული გარიგებები გაამართლონ ეგრეთ წოდებული „საბჭოთა საფრთხით“ სპარსეთის ყურის ქვეყნებისადმი. სინამდვილეში კი ამგვარი მონაჩმახის მიღმა იმალება ამერიკის შეერთებული შტატების ნეოგლობალისტური ზრახვები, რომელსაც მოუწადინებია თავს მოახვიოს საკუთარი ნება ამ რეგიონის ხალხებს.

საბჭოთა კავშირი განუხრელად უჭერს მხარს ირან-ერაყის შეიარაღებული კონფლიქტის უსწრაფეს შეწყვეტას, ერაყსა და ირანს შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტას არა ბრძოლის ველზე, არამედ პოლიტიკური მოლაპარაკების მაგიდასთან. ასეთი პოზიციის ადგას იგი სულ თავიდანვე — მიუხედავად იმისა, თუ როგორ ვითარდება სიტუაცია კონფლიქტში, მათ შორის სამხედრო თვალსაზრისით. ომის მთელმა მიმდინარეობამ გვიჩვენა, რომ სამხედრო საშალებანი მხოლოდ უკან სწევენ მოქმედებას და სულაც არ აახლოებენ მას. ერაყსა და ირანს შორის დაგროვილი პრობლემებისა და წინააღმდეგობების სირთულისა და სიმძაფრის მიუხედავად ობიექტურად არ არსებობს ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების გადაულახავი დაბრკოლებანი. მთავარია, ორივე მხარემ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და კეთილგონიერება, ისეთ ორმხრივ მისაღებ მორიგებათა მიღწევის წადილი, რომლებიც გითვალისწინებენ როგორც ერაყის, ისე ირანის კანონიერ ინტერესებს. უნდა ვიფიქროთ არა წარსულზე, არამედ მომავალზე.

მოწესრიგებას საფუძვლად უნდა დაედოს საერთაშორისო მართლწესრიგის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები. უწინარესად, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ორმხრივი პატივისცემის, ერთურთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, აგრეთვე დადასტურდეს ერაყსა და ირანს შორის კონფლიქტის დაწყებამდე არსებული საზღვრები. ორივე ქვეყანა — და ეს დროის მოთხოვნაა — იმით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომ ყოველ ერს აქვს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, თავისებური ცხოვრების წესის არჩევის, თავისი ბედის გამგებლობის უფლება.

კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგება შეესაბამება ერაყისა და ირანის, ამ რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესებს. იგი დიდწინაშვნელოვანი ნაბიჯი გახდებოდა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზაზე.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირს დროულად მიაჩნია ერთხელ კიდევ მიაპყროს ყურადღება იმას, რომ საჭიროა მოისპოს შუა აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფრონტაციის საშიში კერა, არ დავუშვათ მისი გაფართოება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მოქმედებდა და აქტიურად იმოქმედებს ამ მიმართულებით. ჩვენი ეს გეზი შეესადაგენელი ნაწილია სსრ კავშირის პრინციპული კურსისა, რომლის მიზანია მიაღწიოს დაძაბულობის მოსპობას, კონფლიქტური სიტუაციების მშუნტვას ყველა მხარის კანონიერი ინტერესების შესაბამისად, მოლაპარაკების გზით, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ინფორმაციული და სხვა ადამიანური უცხოური ჩარევის გამორიცხვით. ამ უშიშროების საფუძვლის როგორც საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის დიდი კომპონენტის შექმნის საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი პატიოსან და კონსტრუქციულ ძალისხმევას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, იმ მიზნით, რომ ირან-ერაყის კონფლიქტი გადაყვანილ იქნეს მშვიდობიანი მოწესრიგების კალაპოტში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც პატივისცემით და მეგობრულად ეკიდება ირანელ და ერაყელ ხალხებს, გულწრფელად უსურვებს მათ რაც შეიძლება მალე დაეძლიოთ ახლანდელი ტრაგიკული ეტაპი და დაემყარებოთ ერთმანეთთან მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობა.

8 იანვარი ● საკვლევი იუწყება

ეროვნული ფაქტები • მოვლენები

გაანიარაღება დროის მოთხოვნაა

მეზანი—კაცობრიობის გადარჩენა

გამოხმაურება მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაზე

უბირთვო მსოფლიო, კაცობრიობის გადარჩენა — ასეთია მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებული საბჭოთა პროგრამის მიზანი, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი საუკუნის დამლეგამდე ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციას. მაღალ შეფასებას ალიკვეენ ამ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი მათ უწოდებენ იმ ახალი პოლიტიკური აზროვნების მაგალითს, რომელიც უასუხებს ბირთვულ-კოსმოსური ერის მოთხოვნებს.

პანამა. 2000 წლამდე ბირთვული არსებულების ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, გახდა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, განაცხადა პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რუბენ დარიო სოუსამ საკადენის კორესპონდენტთან საუბრისას. მილიონობით ადამიანი მხარს უჭერს სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია განადგურების საფრთხისაგან კაცობრიობის სსნა. საბჭოთა წინადადებები, ზაზგასმით აღნიშნა დარიო სოუსამ, ბირთვულ საუკუნეში ახალი და ძველი აზროვნების განსხვავების თვალსაჩინო მაგალითია.

**გუდაბეშეტი. ერთი წლის წინათ წამოყენებულ საბჭოთა პროგრამას მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ მოჰყვა არსებითი პოზიციური ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში. მან დასახა პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის დამყარების გზა, ხაზგასმით აღნიშნა საკადენის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი უნგრეთის ახალგაზრდა მეცნიერ მაზეთ შამ

მ. ახორციელებს რა განიარაღების დარგში კონკრეტული შედეგების მიღწევის თანამმედეგრულ და მტკიცე კურსს, საბჭოთა კავშირმა საქმით ცხადყო, რომ მსოფლიოში უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის იგი მზადაა განაზორციელოს ყველაზე რადიკალური ღონისძიებანი. საბჭოთა ინიციატივებმა ძლიერ დაამხერუნეს გამალებული შეიარაღება, ბევრს დაანახვეს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკის რეაქციული არსი.**

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ მიმდინარე საუკუნის დამლეგამდე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს, აღნიშნა თვალსაჩინო ამერიკელმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ფილიპ ფონერმა. „ჩემში მაშინვე უდიდესი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია მშვიდობის ყოვლისმომცველმა პროგრამამ, რომელიც თქვენმა ქვეყანამ გამოაცხადა 1986 წლის იანვარში, — განაცხადა მან საკადესის კორესპონდენტთან საუბარში. — საბჭოთა ინიციატივები აღებენ ახალი საუკუნის კარს, რომელშიც არ იქნება არც მომაკვდინებელი იარაღი, არც ბირთვული ომის ატყდომის საფრთხე“. ამერიკელებს უფლება ჰქონდათ ეფიქრათ, რომ ადმინისტრაცია პოზიტიურ პასუხს გასცემდა საბჭოთა ინიციატივებს, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მხოლოდ სიტყვით აცხადებს მშვიდობისადმი ერთგულებას, საქმით კი აშკარად საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. სულ უფრო მეტი ამერიკელი გამოთქვამს შიშს ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსის გამო, მოითხოვს ბირთვული გამოცდების შეწყვეტას, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას მის მიერ წამოყენებული სამშვიდობო წინადადებების განხორციელებაში. ახლანდელი ბირთვულ-კოსმოსური ერა მოითხოვს აგრეთვე ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, ხაზგასმით აღნიშნა ფილიპ ფონერმა.

ადის-აბება. ახალი პოლიტიკური აზროვნება დღევანდელობის საარსებო აუცილებლობაა, წერს გაზეთი „ეთიოპიან ჰერალდი“. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები კაცობრიობას აახლოვებს სანუკვარ მიზანთან — საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფასთან. ბირთვული აფეთქებების ცალმხრივი მორატორიუმი და მისი არაერთგზის გახანგრძლივება, განცხადება, რომ მზად არის უარი თქვას ქიმიური იარაღის წარმოებაზე — სსრ კავშირის ეს და სხვა ღონისძიებანი ახალ პოლიტიკურ კლიმატს ქმნიან, აღნიშნავს გაზეთი.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

მუშვიდობიან თანაარსებობას ალტერნატივა არა აქვს

ე. კონეკერის ინტერვიუ ამერიკული ჟურნალისადმი

ბერლინი. შეიფასა რა საერთაშორისო ცხოვრების დარგში 1986 წლის შედეგები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე შეიქმნა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის რეალური შესაძლებლობანი. მაგრამ ისინი არ განხორციელებულა, ვინაიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისინი ანაცვალა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, როცა უპასუხა ამერიკის ეროვნული „ი. ს. ნიუს ენდ ორლდ რიპორტის“ კითხვებს. ინტერვიუ გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში.

კიდევ უფრო შეუკავებელი გამალებული შეიარაღება ზრდის ბირთვული ომის საფრთხეს. ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების არსენალების შემდგომ დაზვავებას არ მოჰყვება მეტი უშიშროება. ამიტომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ მოისპოს ბირთვული იარაღი. საბჭოთა მხარე ეწერგიულად ადგა ამ მოთხოვნილებას. რაცა განაგრძოს რეიკიავიკში დაწყებული დისკუსია. კომპრომისი შესაძლებელია, იგი დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაზე, აღნიშნა ე. ჰონეკერმა.

უპასუხა რა ერთ-ერთ კითხვას, მან განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიუსალმებიან საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელობის ახალ სტილს, მოსკოვში აყენებენ მნიშვნელოვან ინიციატივებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. მიგვაჩნია, რომ ეს პოზიტიურ გავლენას მოახდენს სოციალისტურ თანამეგობრობასა და სერთაშორისო ურთიერთობაზე.

აღნიშნა რა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინადადებებს ცენტრალურ ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის, აგრეთვე უბირთვო კორიდორის შექმნის შესახებ, მან თქვა, რომ უაღრესად საჭიროა გადაიჭრას საყოველთაო განიარაღების პრობლემა. ორივე გერმანულ სახელმწიფოს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს სამხედრო არსენალისგან ცენტრალური ევროპის განთავისუფლებაში, თქვა ე. ჰონეკერმა, რომელმაც კატეგორიულად უარყო თეზისი, თითქოს ევროპაში განლაგებული ბირთვული იარაღი მას მშვიდობის გარანტიას აძლევდეს.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას, მან აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა,ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ურთიერთობა, ეფუძნება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენს პოლიტიკას დამოკიდებულს არ ვხდით სხვა ქვეყნების თავვრობათა შემადგენლობაზე. რაც შეეხება ბონის ახლანდელ მთავრობას, იქ, როგორც ხაზგასმით თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, განსაკუთრებით იანვრის არჩევნების წინ, ფიქრობენ ,რომ შეიძლება უგულებელყონ რეალობანი და ჩვენთან ურთიერთობა ააგონ დიდი ხნის წინათ გაკოტრებულ დოქტრინებზე.

● ᲛᲝᲖᲐᲛᲑᲘᲙᲘ

თავს დაესხნენ რაიცენტრს

მაპუტუ. მორიგი დანაშაული ჩაიდინეს ეგრეთ წოდებული „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის“ ბანდიტებმა, რომლებსაც რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთის სპეცსამსახურები ინახავენ. როგორც მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 2 იანვარს ტერორისტების შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ნამპულას პროვინციის მონაპოს რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. ბანდიტური თავდასხმის შედეგად მოკლულია 8 კაცი, აფეთქდა ელექტროსადგური, დაინგრა ადმინისტრაციული შენობები და რაიონული საავადმყოფო. ტერორისტებმა ხელთ იგდეს მშვიდობიან მცხოვრებთა ჯგუფი მძევლად. ამაპუტუ. მორიგი დანაშაული ჩაიდინეს ეგრეთ წოდებული „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის“ ბანდიტებმა, რომლებსაც რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთის სპეცსამსახურები ინახავენ. როგორც მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 2 იანვარს ტერორისტების შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ნამპულას პროვინციის მონაპოს რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. ბანდიტური თავდასხმის შედეგად მოკლულია 8 კაცი, აფეთქდა ელექტროსადგური, დაინგრა ადმინისტრაციული შენობები და რაიონული საავადმყოფო. ტერორისტებმა ხელთ იგდეს მშვიდობიან მცხოვრებთა ჯგუფი მძევლად.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ 3

ᲙᲚᲝ ᲙᲝᲛᲝᲡᲙᲕᲚᲔᲗᲘ

თეთრი სახლის მორიგი ცდა

რას ისახავს მიზნად რ. მერფის ახალი ტურნე

დამასკო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ მერფი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის საკმეებს განაგებს, იორდანიის დედაქალაქ ამანში ჩავიდა. ახლანდელი მოგზაურობისას იგი ეწვევა აგრეთვე ეგვიპტესა და ისრაელს.

ვაშინგტონში ოფიციალურ ბრთა და თვით მერფის განცხადებით, ტურნეს მიზანია „აღორძინონ სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში“. ამავე დროს გამოცხადებულია, რომ მის დიპლომატიურ ბაგაჟში არ არის „არავითარი ახალი ამერიკული ინიციატივა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თეთრი სახლი კვლავ ცდილობს აღორძინოს გაკოტრებული კემპ-დევიდის გარიგება და მასზე დაფუძნებული „რეიგანის გეგმა“ ახლო აღმოსავლეთის შესახებ. წინანდებურად ვაშინგტონი მოქმედებს ისრაელთან „სტრატეგიული ალიანსის“ ფარგლებში, რომელიც თავისი მახვილით არაბი ხალხის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

პოლიტიკური მიმომხილველები უურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ მერფის ახლანდელი მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთში პირველია მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ ცნობილი გახდა ირანისათვის ამერიკული იარაღის საიდუმლო მიწოდების ამბავი. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების უშუალო ჩარევამ ირან-ერაყის სისხლისმღვრელ კონფლიქტში გულისწყრომა და ღრმა შეშფოთება გამოიწვია ბევრ არაბულ დედაქალაქში, სადაც ვაშინგტონის მოქმედება შეაფასეს როგორც ამერიკის ადმინისტრაციის ორპირობა და ფარისევლობა.

● ᲐᲨᲨ

„ირანგეიტის“ გამოსაძიებლად

შეიქმნა სენატის სპეციალური კომისია

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა დაადგინა შეიქმნას სენატის სპეციალური კომისია ირან-სათვის ამერიკული იარაღის საიდუმლო მიწოდებისა და მიღებული სახსრების ნაწილის ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის გადარიცხვის გამოსაძიებლად.

პრეზიდენტის იმედი, რომ სწრაფად მოეღებოდა ბოლო „ირანგეიტის“ მიერ გამოწვეულ პოლიტიკურ კრიზისს, გაჭარწყლდა — ასე განმარტა ეს გადაწყვეტილება სი-ბი-ეს ტელეკომპანიამ. როგორც მოსალოდნელი იყო, ანალოგიური რეზოლუცია მიიღო წარმომადგენელთა პალატამ 416 ხმით ორის წინააღმდეგ.

როგორც კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულმა წარმომადგენელთა პალატის წევრმა ლი ჰამილტონმა განაცხადა, კომისია გულდასმით გამოიძიებს გარემოებებს, რომლებსაც სკანდალი მოჰყვა, აგრეთვე გამოარკვიეს, შეესაბამებოდა თუ არა „ირანგეიტის“ ორგანიზატორთა და მონაწილეთა მოქმედება ამერიკის კანონმდებლობას.

რესპუბლიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, რომლებიც შიშობდნენ, რომ „ირანგეიტის“ გამძიებება შეიძლება მომავალ წლამდე გაჭიანურდეს, როცა დაიწყება პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია, სენატმა სპეციალურ კომისიას დაავალა სამოლოო მოხსენება 1 აგვისტოსათვის წარმოადგინოს. მაგრამ მეტ წილ სენატორთა გადაწყვეტილებით, გამოძიების ვადა შეიძლება 30 ოქტომბრამდე გაგრძელდეს.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

აპრილის რევოლუციამ ავღანეთში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სახალხო განათლების ძირეული გარდაქმნა გამოაცხადა.

ამჟამად ქვეყანაში შექმნილია დაწყებითი, საშუალო, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი. ამავე დროს უწიგნურობის აღმოფხვრის კურსებზე ათასობით ავღანელი სწავლობს, სადაც მეცადინეობას ნებაყოფლობითს საფუძველზე ატარებენ ავღანეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები. მათ შორის არიან ახალგაზრდა ენთუზიასტები ლაილუმო როზიერი და ლაილუმო ფურუტანი (სურათზე) ქალაქ მაზარი-შარიფიდან.

საკვლევის ფოტო.

◆ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘ

ᲘᲬᲧᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ

ქაბული. ფართოდ უჭერენ მხარს ავღანეთის მოსახლეობის სრულიად განსხვავებული ფენები ეროვნული შერიგების მოწოდებას. ამ დღეებში პროვინციებში, მაზრებში, ქალაქებსა და ყიშლაყებში გამართულ მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე ავღანელები კმაყოფილებას გამოთქვამენ ქვეყნის ხელმძღვანელობის კურსის გამო.

სისხლისღვრა და ძმათამკვლელი ომი ვერ გადაეჭრის ავღანეთის წინაშე მდგომ პრობლემებს, ამბობს ქვეყნის მრავალი ავტორიტეტული მოღვაწე, მღვდელთმსახური, ტომის ბელადი, გლეხი და მუშა. „სისხლს სისხლით ვერ ჩარეცხავ, — უთხრა ბახთარის სააგენტოს კორესპონდენტს ფაქთიის პროვინციის ცამკანის მაზრის ერთ-ერთმა მღვდელმსახურმა ჰაჯი სარვარმა. — ყოველი ავღანელი პატრიოტი, რა პოლიტიკური მრწამსისაც უნდა იყოს იგი, ოცნებობს მშობლიო მიწის მშვიდობაზე. ამიტომ თვით რევოლუციის მოწინააღმდეგეებმაც მხარი უნდა დაუჭირონ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის მოწოდებას შერიგებისა და ცეცხლის შეწყვეტისათვის“.

ავღანეთის მთელ რიგ პროვინციებში, აგრეთვე ქაბულში გაიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის კომიტეტების საგანგებო პლენუმები, რომლებზეც მიიღეს გადაწყვეტილება ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ეროვნული შერიგების პროცესის განვითარებასა და განმტკიცებას.

◆ ᲩᲐᲓᲘ

ᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲔᲜ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებს ხაჰაერო ხიდით იარაღის მიწოდებას ჩადში ჰაბრეს რეჟიმისათვის. ეს დაადასტურა აქ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჩარლზ რეიმენმა. ნჯამენაში გზავნიან ჯავშან ტრანსპორტიორებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს. ვაშინგტონის სასწრაფო სამხედრო დახმარების საერთო მოცულობა, რომელსაც ნჯამენის რეჟიმს უწევენ პრეზიდენტ რ. რეიგანის განკარგულებით, 15 მილიონ დოლარს შეადგენს. რეიმენმა თქვა, რომ ეს დახმარება გამოყოფილია ნჯამენისადმი 1987 წლისათვის წინათ დაგეგმილი 5 მილიონი დოლარის იარაღის მიწოდების დამატებით.

პარიზი. როგორც ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საფრანგეთი ზრდის იარაღის, მძიმე სამხედრო საჭურვლის, რადიომოწყობილობის, საწვავისა და მედიკამენტების მიწოდებას ნჯამენის ჯარებისათვის, რომლებიც ჩრდილოეთ ჩადში იბრძვიან. ტვირთი ჩაქვთ უმ-ბალების აეროპორტში მე-16 პარაღელის მახლობლად და შემდეგ გზავნიან ჩრდილოეთში ფადის ოაზისში. საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, ჰაბრეს ძალები ცდილობენ შეტევა წარმართონ ტიბე-ტის ზეგანის მიმართულებით. ბრძოლები მიმდინარეობს ბარდაისა და აუზუს შორის.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე თქვა, რომ პარიზი „უეჭველად“ განაახორციელებს აქციას ჩადში, ყოველმხრივ დაეხმარება ჰაბრეს მთავრობას. პრემიერ-მინისტრმა ჟ. შირაკმა, როგორც ეროვნული ტელეკომპანია „ანტენ-2“ იუწყება, დაადასტურა, რომ „საფრანგეთი შესარულებს თავის მოვალეობას ნჯამენის წინაშე“.

ლიბიის სახალხო ბიუროს სახალხო კომიტეტმა პარიზში გაავრცელა კომუნიკე, რომელიც მოუწოდებს საფრანგეთს არ ჩაერიოს ჩადის კონფლიქტში. ჩადელმა ხალხმა, ხაზგასმულია კომუნიკეში, დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს თავისი ბედი.

ᲡᲐᲜᲓᲐᲠᲘ ᲓᲝᲜᲔᲚᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲠᲘᲐ

საჭირო გაერთიანებული ძალისხმევა

მატერიალურ ფასეულობათა დიდძალი დატაცების მიჩქმალვის მცდელობის შედეგად ცეცხლი წაუკიდეს კულტსაქონლის მაღაზიას. ხანძარმა მეოთხედ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი გაანადგურა. სისხლის სამართლის საქმის გამო პასუხისგებაში მიეცნენ ზოგიერთი მაღაზიის ყოფილი მეკუჭნავეები, სექციების გამგეები და გამყიდველები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მუშაკი, მათ შორის ვაჭრობის სამმართველოს ყოფილი რეგიზორი ბადაკაძე.

ქუთაისში ხანძარმა სააშკარაოზე გამოიტანა მრავალი ნეგატიური მომენტი, რომლებიც ზშირად თან სდევს ხოლმე ხანძრებს. კერძოდ, გამოავლინა საუზეუბო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების საქმიანობაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი, ვაჭრობის სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა დანაშაულებრივი წყარუებანი. გარდა ამისა, საწყობში უხეშად ირღვეოდა სახანძრო უშიშროების წესები, ხოლო სახანძრო დაცვის ორგანოები ამაზე თვალს ხუჭავდნენ.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები „ცოტა არ არის. მერედა, რა? ადგილობრივ საწარმოთა ხელმძღვანელებს არც წინათ გამოუჩენიათ და არც ახლა იჩენენ მაინცდამაინც დიდ შეშფოთებას ხანძრით გამოწვეული ზარალის გამო. მეტწილად ხომ ამ ზარალს სახდაზღვევა ანაზღაურებს, ზოგჯერ კი ხანძარმა შეიძლება მათ გარკვეული „დივიდენდებიც“ მოუტანოს. არადა, სახდაზღვევა სულაც არ არის ყოველდღიური გადუხდოს დაზღვევის თანხა იმ ორგანიზაციებს, სადაც ხანძრები მოხდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად.

არის საწარმოები და დაწესებულებები, სადაც ხანძრის გაჩენის პოტენციური შესაძლებლობა უმნიშვნელოა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთ ობიექტებში საერთოდ უნდა დავიწყოთ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებანი. ამიტომ ხანძრების თავიდან აცილებლად მუშაობის გააქტიურების მოთხოვნა ეხება აბსოლუტურად ყველა სამინისტროსა და უწყებას, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, ყველა მოქალაქეს. ეს ხელს შეუწყობს ცეცხლით გამოწვეული ზარალის შემცირებას.

სამწუხაროდ, ყველა სამეურნეო მუშაკი როდი უტრმობს ჯეროვან ყურადღებას ხანძრის ერობის თანაბრადოვნ საშუალებათა დადგმას, არადა, ავტომატიკის ეფექტიანობა უდავოა. მაგალითად, ზარმაწ, სექტემბერში ხანძარი გაჩნდა ქუთაისის რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხანაში, ამოქმედდა ავტომატური ცეცხლქრობის დანადგარი, რის წყალობითაც მთელი საამქრო გადარჩა დაწვას.

სახალხო მეურნეობის მრავალი ობიექტი აღიჭურვა შეთავსებული სახანძრო დაცვის სიგნალიზაციით. ამის შედეგად მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ცეცხლს გადაურჩა ორმოცდ

სპეციალისტი და ორგანიზატორი

ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებენ საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს, გრიგოლ ნიკიფორეს ძე ზამბახიძეს.

ორმოცა-ორმოცდაათიან წლებში ქალაქ თბილისში, მთელ რესპუბლიკაში მრეწველობის, საქალაქო მეურნეობის, წყალთა მეურნეობის სფეროში არ წამოჭრილა არც ერთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაშიც გრიგოლ ზამბახიძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს.

გრ. ზამბახიძე დაიბადა 1911 წელს ქ. ფოთში, იქვე მიიღო საშუალო განათლება და 1927 წელს თექვსმეტი წლისამ მუშაობა დაიწყო კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამმართველოს საძიებელი პარტიის რიგით მუშად.

1932 წელს, თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრება შემდეგ მუშაობს „კოლხეთმშენში", სადაც თავი გამოიჩინა როგორც საპროექტო-საძიებო და სამშენებლო დარგის ნიჭიერმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა. 1934-1936 წლებში გრიგოლ ზამბახიძე ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის დირექტორია. აქ იგი ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას.

ახალგაზრდა ინჟინრის ნიჭი და ენერგია შეუმჩნეველი არ დარჩა. 1936 წელს იგი გადაჰყავთ რესპუბლიკურ ორგანოებში. თბილისში იგი ერთხანს საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოში, შემდგომ „საქსახროექტში" მუშაობდა და ამ ორგანიზაციებშიც გამოიჩინა თავი როგორც ინიციატივიანმა, შემოქმედმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა.

სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი ინჟინერი გრიგოლ ზამბახიძე 1941 წლის თებერვალში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად დაინიშნა. მალე მას ამ ახალ სამუშაოზე თავის პირად მოვალეობებთან ერთად ჯერ კიდევ ომამდე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს რამდენიმე სპეციალური ობიექტის მშენებლობის ხელმძღვანელობას, რასაც იგი წარმატებით ართმევს თავს. მთელი რიგი სამხედრო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობას ედგა იგი სათავეში სამამულო ომის წლებშიც.

1944 წელს კომუნისტი სპეციალისტი სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგედ, სადაც ოთხი წლის მანძილზე იგი გამოიწვრთო როგორც ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი. 1948 წელს გამოცდილ პარტიულ მუშაკსა და ნიჭიერ ინჟინერს გრ. ზამბახიძეს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. ამ სამუშაოზე ახალი ძალით გამოვლინდა მისი, როგორც პარტიული და სამეურნეო ორგანიზატორის ნიჭი. 1951 წელს იგი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაჰყავთ.

ამ პერიოდში დაიწყო ქალაქში ვაკისა და საბურთალოს ტრიალი მინდვრების განაშენიანება, ახალმა მრავალსართულიანმა შენობებმა დაამშვენეს მისი ცენტრალური და განაპირა უბნები, იგი ხდებები, გაშენდა ბაღები, ქეთილმოეწყო ქუჩები და მოედნები. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში დიდია გრ. ზამბახიძის როგორც ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დამსახურება.

1953 წლიდან 1958 წლამდე გრ. ზამბახიძე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იყო საქართველოს კომუნალური მეურნეობისა და სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან და სხვა.

როდესაც გრიგოლ ზამბახიძეზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შეეეხოთ მისი მოღვაწეობის ერთ ფრიად სიხტერესო მხარეს, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, ეს არის მისი სამეცნიერო მოღვაწეობა. ამ საქმეს იგი სიცოცხლის ბოლო წლებში მთელი არსებით დაეწაფა.

გრ. ზამბახიძე უდიდესი შემართებით იღვწოდა საინჟინრო ჰიდრავლიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაწყვეტად, რაც საერთო ერუდიციასთან ერთად მოითხოვდა თანამედროვე მათემატიკის საფუძვლიან ცოდნასა და გამოყენების უნარს. ამ მუშაობას ყურადღება შედეგები მოჰყვა.

იმ დროს მას ეკავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტი და უამრავი ადმინისტრაციული საქმე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, გრიგოლ ზამბახიძემ შეძლო დაეშუშავებინა და გადაეწყვიტა ჰიდროტექნიკური მეცნიერების ერთი მეტად აქტუალური პრობლემა, რომელსაც თეორიულთან ერთად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს ირიგაციის, ენერგეტიკისა და წყლის ტრანსპორტის განვითარებისათვის.

გრ. ზამბახიძემ შეიმუშავა და მეცნიერულად დააასაბუთა მდინარეთა ნაპირების გამაგრების რაციონალური მეთოდები. ეს შრომა საშუალებას გვაძლევს სრულყოფილ და გავაუმჯობესოთ საირიგაციო სისტემების ჰიდროკვანძებისა და სანაოსნო მაგისტრალების დაპროექტება, უფრო საიმედო გავხადოთ ისინი. გრ. ზამბახიძის უარღესად აქტუალური შრომა ამ თემაზე „რეალური სითხისა და მყარი სხეულების მოძრაობა მდინარის პოხვეულ უბნებზე" გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

სხვადასხვა დროს გრ. ზამბახიძე არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. მისი დამსახურება საშობლოს წინაშე ღირსეულად დაფასდა: დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და რამდენიმე მედლით.

გრ. ზამბახიძე იყო უაღრესად გამჭრიჯ და ენერგიული, საქმის ღრმა მცოდნე და კეთილსინდისიერი მუშაკი, გულისხმიერი ადამიანი. სამაგალითო იყო მისი მეჰეგრმეტყველება, დახვეწილი აზროვნება, მასალის ლოგიკურად გადმოცემის უნარი. მას სიყვარული, პატივისცემა და დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აქტივის ფართო წრეებში. მთელი თავისი სიცოცხლე მან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა.

გრიგოლ ზამბახიძე ახლა 75 წლისა იქნებოდა, მან კი 52 წელსაც ვერ მიადწია, შემოქმედებითი ალმაფლობის ასაკში შეწყდა მისი მაჯისცემა. არ შეიძლება დიდი სინანულით არ აღინიშნოს, რომ ამ შესანიშნავ ინჟინერს, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ადგილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, ისიც არ დასცალდა, რომ სადოქტორო დისერტაცია დაეცვა, რომელიც მან წარმატებით დაასრულა. მიუხედავად ამისა, გრ. ზამბახიძე — მისი თეორიული დონით, ერუდიციით, შემოქმედებითი დიაპაზონით — დამსახურებულად მოიხსენიება სხვა ქართველ სახელმოხვეჭილ მეცნიერ ჰიდროტექნიკოსთა გვერდით.

პ. ჩარკვიანი,
ც. მირცხულავა.

ვ. რ. პაპუნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ რაფაელის ძე **პაპუნიძე.**

ვ. რ. პაპუნიძე 1929 წელს დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში გლეხის ოჯახში, აქვე მიიღო საშუალო განათლება.

მისი შრომითი გზა დაიწყო 1954 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის აგროტექნიკოსად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. იმავე წელს შეეგზა ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა განყოფილებებს მიწათმოქმედების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებში. 1972 წელს დაინიშნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

დიდი შრომისუნარიანობის, აქტიური კვლევითი მუშაობისა და ერუდიციის მეოხებით ვ. რ. პაპუნიძე ამ დროისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის წამყვან სპეციალისტთა რიგებში ჩადგა. იგი დაახლოებით ასი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ვ. რ. პაპუნიძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა საქართველოს ზოოტექნიკურ-საცხოვრებლო სასწავლო-კვლევითის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1973 წლიდან ვ. რ. პაპუნიძე პარტიულ სამუშაოზეა — იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე. ძალ მას ირჩევენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1975 წელს — პირველ მდივნად. ამ პოსტზე იგი ათ წელზე მეტ ხანს მუშაობდა, სანამ არ დაუბრუნდა სამეცნიერო მუშაობას, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ვ. რ. პაპუნიძე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმად გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

ნიჭს გონივრული წვრთნა უნდა

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინტერესო სიახლეს ჩაეყარა საფუძველი — ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან შეიქმნა მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ქართველი მწერლები და პოეტები ხელმძღვანელობენ.

ჯგუფის მუშაობის თავისებურებების თაობაზე ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ისტორიის კათედრის გამგეს და ამ წამოწყების ერთ-ერთ თაოსანს, პროფესორ **სერგო ფილაიას.**

— ბატონო სერგო, რამ განაპირობა მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის ჯგუფის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, რას გვეტყვით დღეს ამ ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ?

— მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის ჯგუფი ძირითადად ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის შეიქმნა. იმ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებს, რომელთაც კალამი უჭირთ, საშუალება ეძლევათ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას მიიღონ დამატებითი სპეციალობა „მხატვრული შემოქმედება და კრიტიკა". ეს კი ხელს უწყობს ფილოლოგიის დარგის სპეციალისტთა სარბიელის კიდევ უფრო გაფართოებას. უნდა ითქვას, რომ ჯგუფის მუშაობას ადრე ერთგვარად არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. ახლა მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. შედგენილი გვაქვს საგანგებო სასწავლო პროგრამები. კონსულტაციის მისაღებად ვეწვევი მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს. გავიარეთ სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერალთა დაოსტატების უმაღლესი კურსების მუშაობის გამოცდილებაც. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო კი დაგვპირდა, რომ მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ყოველწლიურად გაანაწილებს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს არცთუ ისე უმნიშვნელო მოვლენაა მაშინ, როდესაც ჩვენს ფაკულტეტზე საკმაოდ მწვავედ დგას ახალგაზრდა კადრების განაწილების საკითხი. სწორედ მისი გადაჭრის ცდას ვუკავშირებდით თავის დროზე მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის ჯგუფის შექმნას.

— მაინც ვისთვის იზრდება კადრი ამ დამატებითს სპეციალობაზე?

— სახალხო უნივერსიტეტების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოებისა და როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ერთ გარემოებასაც მინდა გავესვა ხაზი. ამ ჯგუფის შექმნით ჩვენ მომავალი მწერლების მოვზადების პრეტენზიას როდი ვაცხადებთ. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ჩვენი სტუდენტებისაგან რომელიმე კარგი კალმოსანი დადგეს. ნიჭს მაინც ყოველთვის სჭირდება გონივრული წვრთნა. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ამბავი, რომ ახალგაზრდებს უშუალო კონტაქტი აქვთ ქართველ მწერლებთან. მათ ლექცია-საუბრებს ისმენენ ხოლმე აქ.

— რომელი მწერლები არიან ჩაბმული ამ სასიკეთო საქმიანობაში?

— ოთარ ჩხეიძე და არჩილ სულაკაური ხელმძღვანელობენ პროზის სექციას, პოეზიისას — მიხეილ ქვლივიძე, ბესიკ ხარანაული, კრიტიკის სექციას მე ვხელმძღვანელობ რეზო მიშველაძესთან და ტარიელ კვანტილაშვილთან ერთად. სპეციალისტებს მოსაწყობად დროდადრო ვიწვევთ ირაკლი აბაშიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ჯახსუდ ჩარკვიანს, გიორგი ხუხაშვილსა და სხვებს. სამუშაო მრავალსმომცველი და საინტერესოა. სტუდენტებს შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვთ გამოავლინონ თავიანთი უნარი, მოიმოინონ ხელმძღვანელის კომპეტენტური აზრი საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ რეცენზიებზე, მიიღონ რეკომენდაციები ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად, გაიცნონ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს.

— სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს თუ ექნებათ ამ ჯგუფში ჩარიცხვის უფლება?

— როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის, ასევე რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ამ ლიტერატურულ ჯგუფში სწავლის სურვილი გამოთქვას. ეს არის მხოლოდ, მსურველთაგან ჩვენ ყველაზე საუკეთესოებს შევარჩევთ!

საუბარი ჩაიწერა
ლ. კილაძემ.

საკავშირო კონკურსის „სიმღერა-86" დასკვნითი კონცერტის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდა თბილისის № 128 სამუშაო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ტატიანა ჩუბინიძე. მისი შესრულებით აჟღერდა ო. ფელცმანისა და მ. რიაბინინის სიმღერა „კვიცი".

„ოსტანკინოს" საკონცერტო სტუდიაში ნორჩმა შემსრულებელმა სერიოზულ გამოცდას გაუძღო — იგი ცნობილ საბჭოთა მომღერლებთან ერთად გამოდიოდა და, თუ დარბაზის რეაქციით ვიმსჯელებთ, მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. სიმღერა „კვიცი" მისი შესრულებით გასულ წელს ერთ-ერთ საუკეთესო სიმღერად აღიარეს.

მომდინარე წელს კი თბილისელი მოსწავლე ახალი იმედებითა და ოცნებებით ხვდება, რომელთაგან მთავარია დაუკავშიროს თავისი ბედი ესტრადას.

როცა გულს ეძღერება

ხუთი წლისა მივიდა იგი ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ძალისში", ხოლო ათი წლის შემდეგ მიიწვიეს „სიმღერა-86" საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ტაშკენტში.

— ეს ჩემთვის დიდი სკოლა იყო, — თქვა ტატიანამ. — პირველად უნდა გამოვსულიყავი პროფესიულ სცენაზე. თავიდან ძალიან ვღელავდი, მაგრამ სცენაზე გამოსვლისას არ დავბნეულვარ. ამის შემდეგ დაწერა ტ. სამკო-ტუხმანოვამ ჩემთვის სიმღერა „სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ".

ტ. ჩუბინიძის ოჯახში არ არიან პროფესიონალი მომღერლები, მაგრამ სიმღერა ყველას უყვარს. სწორედ ამით ხსნის ახალგაზრდა შემსრულებელი თავის ლტოლვას ესტრადისაკენ. მისი საყვარელი კომპოზიტორები არიან გ. ცაბაძე, ო. ფელცმანი, ე. პტიჩკინი, ა. პახმუტოვა, ახლობელი და საყვარელია მისთვის მომღერლების ვ. კიკაბიძის, ს. როტარუს, ი. პონაროვსკაისა და ვ. ლეონტიევის შემოქმედება.

— თუმცა სიმღერა ჩემი ყველაზე დიდი გატაცებაა, მაგრამ იგი ერთადერთი როდია, — თქვა შემდეგ ტ. ჩუბინინძემ. — თავისუფალ დროს ვსწავლობ უცხო ენებს — ინგლისურსა და ჰინდის.

ე. ხაკიმი,
საქინფორმის კორ.

„ივერია" — ბავშვებს

ზამთრის არდადეგების დღეებში ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ივერიამ" საქართველოს დედაქალაქის მოსწავლეებს საახალწლო საჩუქარი მიუძღვნა. ეს არის ალეკსანდრე ბასილაიას მიუზიკლი „თოვლის ბებოს ზღაპარი" (ლიბრეტო ჯემალ ბალაშვილისა).

მხიარული მუსიკითა და იუმორით აღსავსე წარმოდგენა დადგა რეჟისორმა ევგენი გინზბურგმა, გაფორმა მხატვარმა თეიმურაზ ნინუამ, ქორეოგრაფია ეკუთვნის რევაზ წულუკიძეს, სცენოგრაფია და პანტომიმა — გოგი ოსეფაშვილს.

მიუზიკლს დიდი წარმატება აქვს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

სურათებზე: სცენები მიუზიკლისა „თოვლის ბებოს ზღაპარი".

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართველი ავტორის მასალა ფინურ ჟურნალში

სსრ კავშირის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ლენინგრადი) ინჟინერმა ანდრე კარბელაშვილმა აღმოაჩინა დოკუმენტები ფინეთის ტერიტორიაზე პირველი სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის შესახებ. 1854 წელს ჰელსინგფორსში (დღევანდელი ჰელსინკი) საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი ტელეგრაფის სადგური და დაიწყო დეპეშების გაცვლა პეტერბურგთან, ხოლო 1863 წელს შესაძლებელი გახდა „სატელეგრაფო დიალოგი" დაწყებულიყო ჰელსინგფორსსა და თბილისს შორის.

ფინეთის ტერიტორიაზე სატელეგრაფო კავშირის უნიკალური რუკა, რომელიც წარმოდგენას იძლევა აქ 125 წლის წინათ არსებული კავშირგაბმულობის მდგომარეობაზე და უცნობია ფინეთში, მიკვლეულ იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. ამის მეოხებით შეიქმნა გარკვეული სურათი იმისა, თუ როგორი იყო ფინეთის პირველი სატელეგრაფო ქსელი.

სავსებით ცხადია, რომ დღეს, როცა ფინეთში კავშირგაბმულობის ტექნიკამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, ფინელი მეკავშირეებისა და ტექნიკის ისტორიის სპეციალისტებისთვის ლენინგრადისა და თბილისში მიკვლეული დოკუმენტების მიმოხილვა გარკვეულწილად საინტერესოა.

ამიტომ იყო, რომ ინჟინერ ანდრე კარბელაშვილის წერილი „ფინეთის პირველი ტელეგრაფები" ამას წინათ ჰელსინკში გამოქვეყნდა ფინეთის ტექნიკური მუზეუმის ჟურნალში. წერილში აღწერილია ჰელსინგფორსიდან ფინეთის სხვა ქალაქებში გაყვანილი სატელეგრაფო ხაზების ტექნიკური მონაცემები და ის საინტერესო ფაქტიც, რომ როგორც ფინეთში, ისე საქართველოშიც პირველი სატელეგრაფო კავშირი შექმნა ფირმა „სიმენს და ჰალსკემ", რომელთანაც მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დაწყებული გრიგოლ ორბელიანს.

ჰელსინკიდან ქართველ ავტორს სწერენ, რომ მსგავს მასალებს, ფინეთის კავშირგაბმულობის ისტორიიდან ნაშრომებით მიიღებენ პუბლიკაციისათვის.

დღეს საბჭოთა და ფინელი მეკავშირეები თანამშრომლობენ კავშირგაბმულობის საშუალებათა ერთობლივ დამუშავებაში. ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქშიც ფინური წარმოების სხვადასხვა აპარატურაა დანერგილი.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ— ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

„ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲡ" ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲝᲙᲝ

— სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში დღეს ინტენსიურად მუშაობენ სხვადასხვა დაავადებისადმი მედეგი მცენარეთა ჯიშების გამოყვანისათვის, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რესაუბლიკური საუწყებათაშორისო ბიოტექნოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ი. კვესიტაძემ. — ეს სამუშაოები განსაკუთრებით საყოფიერად წარმოებს ციტრუსებზე. მოხერხდა გაგვეზარდა არა მარტო მათი წინააღმდეგობის უნარი, არამედ გაგვიძლიერებინა ყინვამედეგობა და, რაც მთავარია, გაგვეზარდა კულტურის მოსავლიანობა.

დაკვირვება წარმოებს ერთბაშად რამდენიმე კვლევითს ცენტრში — ანასეულის სუბტროპიკული მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შებაღლეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. ყველა ამ სამუშაოს ერთიანი კოორდინატორი ამიერიდან ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტთან შექმნილი რესპუბლიკური ბიოქიმიური ცენტრი. სელექციის დარგის სამუშაოთა გარდა, ცენტრი უხელმძღვანელებს იმ მიკროორგანიზმების დიდპროდუქტიული ფორმების გამოყვანას, რომლებსაც იყენებენ მრავალი სახეობის ფერმენტების, ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების მიღების სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის დროს. ყველა ამ სამუშაოს რეალიზაციას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ბრძანება

1987 წლის 7 იანვარი
ქ. თბილისი

გასაწვევ პუნქტებზე მოქალაქეთა მიწერის შესახებ

§ 1

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" სსრ კავშირის კანონის საფუძველზე, 1987 წლის იანვარ-მარტში წარმოებს 1970 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა საქართველოს სსრ გასაწვევ პუნქტებზე.

§ 2

მიწერისათვის გამოცხადება ევალება 1970 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე დაბადებულ ყველა მოქალაქეს, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო თავის დროზე არ გაუვლიათ მიწერა გასაწვევ პუნქტებზე.

§ 3

ყველა მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება მიწერას გასაწვევ პუნქტებზე, მოვალეა გამოცხადდეს რაიონსულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებში, მუდმივად ან დროებით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონული სამხედრო კომისარიატების ბრძანებაში, ან მათ მიერ მიღებულ პერსონალურ უწყებებში აღნიშნულ ვადებში.

§ 4

საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სასწავლებლების ხელმძღვანელები მოვალენი არიან გასაწვევ პუნქტებზე მისაწერად გაათავისუფლონ მოქალაქენი მუშაობისაგან (სწავლისაგან) მიწერისათვის საჭიროო დროით და უზრუნველყონ მათი დროული გამოცხადება რაიონულ სამხედრო კომისარიატში.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი
ლ. შარაშენიძე.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲞᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ვაჟთა შორის თბილისის ჩემპიონატში 15 მონაწილე იყო: მათგან ერთი ოსტატი — დიმიტრი გედევანიშვილი და 14 ოსტატობის კანდიდატი. დაბოლოს თანახმად ამ შეჯიბრების პრიზიორება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ეროვნულ ლიგებში თამაშის უფლებას იღებენ. 11 ქულით პირველი ადგილზე თბილისის ჩემპიონის წოდებას მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა პაატა გაფრინდაშვილმა. სწორედ მას მიეკუთვნა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზური. პირველი ლიგის საგზურები კი მიიღეს ოსტატმა დიმიტრი გედევანიშვილმა, რომელმაც 10,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და ოსტატობის კანდიდატმა გივი გოგიჩაიშვილმა (10 ქულა).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ლენინგრადში დაიწყო ფიფას „ვიცე-პრეზიდენტი" ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. პირველ დღეს გაბარაჯული ბატჩების შედეგები ასეთი: სსრ კავშირი (I)-გდრ — 2:0, სსრ კავშირი (II)-ფრანგეთი-ჩეხოსლოვაკია — 2:1, სსრ კავშირი (II)-შეეცია — 3:1.

ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲬᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. მინსკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე ქალთა შორის 3 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი მოიპოვა ვ. ვენცენემ (ლატვია), ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე რბოლაში კი უძლიერესი იყო ვ. სმირნოვი (ყაზახეთი).

. რედაქტორი
ვ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-08-08, 99-08-09,
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ — 99-72-80,
ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲜᲐᲠᲘᲡ — 99-66-10,
ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61,
ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲛᲬᲠᲝᲚᲗᲐ ᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-95-20,
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ — 99-52-46,
ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲘᲡ — 98-20-84,
ᲡᲐᲖᲦᲕᲝᲗᲐ ᲛᲨᲝᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 98-18-70,
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58,
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01,
ᲤᲘᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ — 98-22-98,
ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90,
ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21,
ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24,
ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 98-28-54,
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

**ᲡᲝᲩᲘᲡᲘ — 2-40-19; ᲒᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-86; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-38-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-02-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝ